ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 28 ივლისი, 2022 | №147 (8925) | ფასი: 80 თეთრი

## სოსო გოგაშვილი: „მე დავუკავშირდი მეუფე შიოს და მოვუყევი ყველაფერი“

გვ.4



# „ბიძინა ივანიშვილს სპექტაკლი ჩაუვარდა“



ლელა ჯეჯელავა: „კელი დეგნანთან ამ რქაგრეხილობას მწარედ ზღავს ბიძინა ივანიშვილი. კონფიდენციალური შეხვედრის შინაარსის გარეთ გამოსვლა გამოუსწორებელი შეცდომაა“

გვ.3



„არ ვიცი, ამ წერილს როგორ აღიქვამენ ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერები და ფანები, მაგრამ ეს ძალიან ჰგავს კუთხეში მიყენებული კაცის წერილს“

## „ნიკანორ მელიამ ვერ ივარგა!“

გვ.2



თაკო ჩარკვიანი: „მიხეილ სააკაშვილმა სწორი სვლა გააკეთა“

გვ.3



## „გახარიამაც ღიად უნდა თქვას, რა მოხდა 20 ივნისს“

ლაშა ჩხარტიშვილი: „ივანიშვილი დასავლეთს ისევ ევაჭრება“

თურქი პოლიტოლოგი: „აშშ, საფრანგეთი და საბერძნეთი თურქეთის მიმართ მტრობას იჩენენ“

გვ.4

## თურქეთი ნატოდან გამოდის?



პოლონელი აღმოსავლეთმცოდნე ვიტოლდ რეპეტოვიჩი: „თურქეთს უნდა უკრაინის რუკით თამაში ნატოსა და რუსეთთან ურთიერთობაში“

ირაკლი ღარიბაშვილი: „საქართველომ და ყაზახეთმა 30-წლიანი დიპლომატიური ურთიერთობების შედეგად მჭიდრო პარტნიორობა დაამყარეს“

გვ.4





მუხთარლი: „აუცილებლად ვიჩივლებ ივანიშვილის, გომელაურისა და კვირიკაშვილის წინააღმდეგ... სარჩელს ევროპაში შევიტან“

1993230720223

2 ბიძინა ივანიშვილი: „ელჩის თხოვნით 21 მარტს ნამდვილად შედგა შეხვედრა და დაახლოებით სამ საათს გაგრძელდა“

5 მოსმენების საქმეზე დაზარალებულად ცნობას კიდევ 19 ჟურნალისტი ითხოვს

2 ყაველაშვილი: „დეგნანი მხარს უჭერს ადამიანებს, რომლებსაც ქვეყნის ომში ჩართვა უნდოდათ“

6 ბორის ჯონსონი, შესაძლოა, ნატო-ს გენერალური მდივანი გახდეს

# „ნიკანორ მელიამ ვერ ივარგა!“

## თაკო ჩარკვიანი: „მიხეილ სააკაშვილმა სწორი სვლა გააკეთა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს თაკო ჩარკვიანი პასუხობს.



*– ქალბატონო თაკო, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს? ბიძინა ივანიშვილის წერილს სხვადასხვაგვარი შეფასება მოჰყვა. რას იტყვით თქვენ, რის თქმა სურდა ივანიშვილს?*

– ივანიშვილმა ამით დაადასტურა, რომ ის არის ამ ქვეყნის მმართველი და მისი სცენარით მოქმედებს ყველა. ის მაშველი რგოლივით მიეხმარა თავის გუნდს და კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ყველაფრის ავტორი თავად არის. ძალიან უსუსური ეპისტოლური ჟანრის მოწმენი გავხდით ყველა.

*– ამერიკის ელჩთან ასეთი დაპირისპირება რამდენად ძვირად დაუჯდებათ?*

– საქართველოს ძალიან ძვირად დაუჯდება მათი ქვეყნის სათავეში დიდხანს გაჩერება. პრაქტიკულად განადგურებულია ქვეყანა. ხალხი გარბის ემიგრაციაში, უმძიმესი ვითარება გვაქვს. ახლა ჯერი ჩვენზეა, რაოდენ გონივრულად და ჭკვიანურად იმუშავებს ოპოზიცია.

*– არის დღეს ოპოზიცია მოწოდების სიმაღლეზე? ან რას ნიშნავდა მიხეილ სააკაშვილს განცხადება, რომელიც ვალერი გელბახიანმა გააჟღერა, არ მომიხსენიოთ ენმ-ს ლიდერად, მომიხსენიეთ, როგორც პოლიტპატიმარიო. ემიჯნება სააკაშვილი პარტიას?*

– სააკაშვილი ძალიან ჭკვიანი და ნიჭიერი ადამიანია. პირდაპირ გეტყვით, რომ მე უფრო ადრეც ველოდი მისგან ამ განცხადებას. კი, სააკაშვილს მართლაც ჰყავს გულწრფელი ამომრჩეველი, მაგრამ პარტია როცა არსებობს და მას ჰყავს თავისი ხელმძღვანელობა, ბუნებრივია, ამომრჩეველი რაღაც მომენტში იბნევა და ემორჩილება პარტიის ხელმძღვანელს.

*– საით მიანიშნებთ?*

– ნიკარონ მელიამ ვერ ივარგა. არ ვამბობ, ბატონო, რომ არ ივარგა, თორემ ენის წვერზე მადგას. ვერ ივარგა, რაც კიდევ უარესია მისთვის.

*– მაშინ, რატომ არ შეცვალა პარტიამ თავმჯდომარე?*

– ეს უკვე ჩემი თემა არ არის. მათ შიდა საქმეებში მე ვერ ჩავერევი. ამასწინათ პირდაპირ ეთერში მითხრა ევროპული საქართველოს წევრმა, ლაშა დამენიამ, თქვენო რატომ იცავთ და რატომ ერევითო. არ მოსწონს ევროპულ საქართველოს, როცა ვეუბნები, რომ მიშას ხმებით შევიდნენ პარლამენტში. მითხრას ვინმემ, აბა, ბოკერია თავისი ხმით შევიდა? რამე ახალს ვამბობ, ხალხო? მას შემდეგ ჩატარდა არჩევნები და კარგად გამოჩნდა, ვისი ხმებით შევიდა. ახლაც მათი პარტია იღებს საპარლამენტო დაფინანსებას და ეს ძალიან მნიშვნელოვანი დეტალია. მე ვერ ვიტან ამ რაღაცა თაღლითურ მოძრაობებს. პირდაპირ თქვი, რომ იღებ. ჩვენ რომ მოგვიწოდებ, გამოდითო და შენ დაფინანსებას იღებ, მაშინ ირმა ინაშვილს რატომ აკრიტიკებდი?!

ვერ ვიტან ორმაგ სტანდარტს ვერც ერთ მხარეს. რა თქვენი საქმეა, რა მოხდა 2016 წელსო, პირდაპირ ასე მითხრა ევროპული საქართველოს წევრმა. სწორედ რომ ჩემი საქმეა და ყველას საქმეა! რუსეთთან ომში რომ დგას საქართველო, დასავლური ვექტორის მქონე პარტია, ყველაზე მსხვილი პარტია, შუაზე გაიხლიჩებოდა თუ არა, სწორედ რომ ჩემი საქმეა.

*– ოპოზიციაც არათანმიმდევრულია?*

– ყველაზე ვერ ვიტყვი, მაგრამ პარტიების ნაწილის ქმედებებს ვერ ვიგებ. მე 2013-2014 წლებში ოპოზიციაში ვიყავი, მაგრამ 2018 წლის არჩევნებისთვის გრიგოლ ვაშაძის კანდიდატურა წარვადგინე. ეს გავაკეთეთ ნაციონალების თხოვნით მე და პაატა ბურჭულაძემ. მე არც მათი წევრი გავმხდარვარ და არც მათი სიით არ გავსულვარ. მე ამ ბრძოლაში ჩავერთე იმიტომ, რომ დასავლური ვექტორის მქონე პარტია გამეძლიერებინა. ჩემთვის ამომავალი წერტილია, საქართველოს სახელმწიფოებრიობას დასავლური კუთხით არ შეექმნას რაიმე საფრთხე.

„ოცნების“ კურსი რომ დავინახე და მივხვდი, ისინი დასავლეთისკენ არ მიდიოდნენ, სწორედ ამიტომ დავუპირისპირდი მათ. ამ დასავლურ გზაზე დასავლური ინსტიტუციების აღმშენებელი უდავოდ იყო მიხეილ სააკაშვილი. მის დროს ცუდი რაც იყო, მე იმასაც ვუპირისპირდებოდი.

*– „ოცნებამ“ ის ცუდი და მანკიერი არ შეცვლა და ყველაფერი ისე დატოვა?*

– აბსოლუტურად ყველაფერი. მოსმენები, ჩაწერები, ხალხის განადგურება, მკვლელობები – ეს ყველაფერი ხომ დატოვეს, პლუს ამას, მთლიანად დაანგრიეს საქართველოს ევროინტეგრაციის გზა. საქართველო სადგურად აქციეს. ისეთი რაოდენობის რუსია შემოსული, რომ რა გითხრათ. ამათ ის თუ ვერ გაიგეს, როგორ შემოვიდა ქვეყანაში საქართველოს მესამე პრეზიდენტი, იმას როგორ გაიგებ, ამდენი რუსი რომაა შემოსული, რა ვიცით, რომ პუტინმა არ შემოუშვა? მერე რომ არ თქვას, ბევრნი ცხოვრობენ საქართველოში და ვიცავო. ასე შედის პუტინი ყველგან! ამიტომ ვამბობ, რომ დღეს საჭიროა ბრძოლა ერთი იდეის გარშემო. საჭიროა გაერთიანებული ოპოზიცია, სამოქალაქო სექტორი. უნდა დავდგეთ ყველა ერთად.

*– რომ არ ჩანს ეს პროცესი?*

– სხვაგვარად არაფერი გამოვა. ხომ ვნახეთ, რამდენი ათასი ადამიანი გამოვიდა. გამოვიდნენ იმისთვის, რომ ქვეყნის ევროინტეგრაციას საფრთხე არ დაემუქროს. ამ ხალხის გამოყვანას ტყუილად ნურავინ დაიბრალებს. ამ ხალხს გაანალიზებული ჰქონდა, რომ 12-ვე პუნქტი უნდა შესრულდეს. განცხადებები რომ არ ვახსენოთ, იქ მიშა და ასე შემდეგ, შენ ვინ ხარ და როგორ ბედავ, რომ იმ 12 პუნქტიდან რაიმე ამოარჩიო და რაიმე არ ახსენო?! პოლიტპატიმრები გყავს ციხეში და, რას ჰქვია არ ახსენო?! პირდაპირ რეზოლუციაში ჩაგვიწერეს ეს და შენ ვინ ხარ, რომ არ ახსენებ? დეესკალაცია ხომ წერია და რა არის დეესკალაცია საქართველოში? მომხრეების ერთი ნაწილი უპირისპირდება მეორეს. ეს, წლებია, გრძელდება. ამიტომ მე გეტყვით იმ სიახლეს, რომელიც პროექტის სახით დავაინიცირე, როგორც დამოუკიდებელმა დეპუტატმა. იცით თქვენ ამის შესახებ.

*– ამნისტიის კანონს გულისხმობთ?*

– დიახ, ვთქვი თქვენთან ამის შესახებ და ახლა გეტყვით, რომ ეს საკითხი ბიუროზე გავიდა პირველი მოსმენით. ეს გახლავთ საყოველთაო ამნისტიის კანონპროექტი. ძალიან ფრთხილი ოპტიმიზმი მაქვს, მაგრამ, ის რომ გავიდა პირველი მოსმენით კომიტეტზე, ძალიან საინტერესო იყო. ჯერ ძალიან ნედლია ეს ყველაფერი, მაგრამ ფაქტია, რომ გავიდა. იცით, რატომ ამოვიჩემე ასე ძალიან? ბევრ ქვეყანაში ყოფილა მსგავსი საყოველთაო ამნისტიები ასეთი მწვავე დაპირისპირებების შემდეგ. უკვე რომ ვეღარაფერი აჩერებს ამ პროცესს, ხელისუფლება რომ ვეღარ აჩერებს ამ დაპირისპირებას, ბევრი წასულა ამ გადაწყვეტილებაზე. 12 პუნქტის შესრულებას რომ გვთხოვენ, სხვაგვარად ვერ შესრულდება!

*– ფიქრობთ, რომ სააკაშვილი და გვარამია შესაძლოა ამნისტიის გზით გამოუშვან?*

– ხომ იცით, რომ მე ტყუილები არ მიყვარს. როდესაც მკითხეს, თქვენ მათთვის აკეთებთ ამასო? მე ვაკეთებ იმ პრობლემისთვის, რა პრობლემაც არის საქართველოში. თვითონ ევროპარლამენტი მოგვიწოდებს, რომ ამ კაცის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმდება და ჰუმანიტარული მისიით გაგვაყვანინეთო. ხომ გესმით, რა რთული მდგომარეობა აქვს სააკაშვილს.

*– თქვენ მისი პარტიის ლიდერებზე მეტად აქტიურობთ ამ კუთხით. საკუთარმა პარტიამ კი მიივიწყა ლიდერი.*

– მე საქართველოსთვის ვაქტიურობ. ამიტომ არ ვეკითხები არავის, რასაც საჭიროდ მივიჩნევ, იმას ვაკეთებ. ის საქართველოს მესამე პრეზიდენტი იყო და მე ძალიან შემრცხვება, როგორც ერთ მოქალაქეს, რომ კიდევ ერთი პრეზიდენტი მოკვდეს. შეიძლება, ვიღაცას არ მოსწონდეს ეს კაცი, მაგრამ არ დაინახო მიხეილ სააკაშვილის სახელმწიფოებრივი აზროვნება დასავლეთის კუთხით, ან ბეცი უნდა იყო, ან რუსეთზე მომუშავე!

*– სწორედ ამიტომ ხომ არ გადაწყვიტა სააკაშვილმა, გაემიჯნოს საკუთარ პარტიას, რადგან მათგან ვერ დაინახა ის მხარდაჭერა, რომელსაც ელოდა?*

– ვერ გეტყვით. არ შემიძლია, მე ამაზე რაიმე ვთქვა. უბრალოდ, ერთს გეტყვით, რომ მიხეილ სააკაშვილმა სწორი სვლა გააკეთა.

## ბიძინა ივანიშვილი: „ელჩის თხოვნით 21 მარტს ნამდვილად შედგა შეხვედრა და დაახლოებით სამ საათს გაგრძელდა“

„ქართული ოცნების“ დამფუძნებელი და საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი განცხადებას ავრცელებს.

ეს მისი მეორე საჯარო განცხადებაა მას შემდეგ, რაც განაცხადა, რომ პოლიტიკიდან მიდიოდა. გთავაზობთ მას უცვლელად:

„უპირველეს ყოვლისა, მინდა ჩემი ღრმა პატივისცემა კიდევ ერთხელ გამოვხატო ქართული საზოგადოების მიმართ, რომელმაც არაერთგზის დაამტკიცა, რომ ევროპული ფასეულობების ერთგულია. დამოუკიდებლობის აღდგენიდან 30 წლის თავზე, ქართველმა ხალხმა დღეს კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ღირსება, თავისუფლება და დამოუკიდებლობა მისი უმთავრესი ღირებულებებია. ამასთან, ქართულმა საზოგადოებამ ყველას დაუმტკიცა, რომ ხანმოკლე დემოკრატიული გამოცდილების მიუხედავად, აქვს სიბრძნე, რომელიც ურთულეს გამოწვევებთან ღირსეულად გამკლავების შესაძლებლობას აძლევს.

უკვე წელიწადნახევარი გავიდა მას შემდეგ, რაც საზოგადოებას პოლიტიკიდან ჩემი გასვლის გადაწყვეტილების შესახებ ვაცნობე და მას შემდეგ, ჩემივე გადაწყვეტილებას სრულად ვიცავდი და ვიცავ. მთელი ამ პერიოდის მანძილზე, ერთადერთი საჯარო განცხადება გამოვაქვეყნე და ისიც მხოლოდ იმისათვის, რომ ჩემი სახელით სპეკულირების საშუალება არავისთვის მიმეცა. არ მინდოდა, პოლიტიკურ პროცესებზე არათუ მე, თუნდაც, ჩემს ფაქტორს რაიმე გავლენა ჰქონოდა და საჯარო სივრციდან ჩემი სრული დისტანცირების მიზეზი სწორედ ეს იყო და არის.

ამავდროულად, როგორც ამ ქვეყნის შვილი და მისი ერთ-ერთი გულშემატკივარი, ბუნებრივია, საქართველოში მიმდინარე მოვლენებს მთელი ყურადღებით ვადევნებ თვალყურს. რეგიონში არსებული ურთულესი პო-



ლიტიკური ვითარების ფონზე, საქართველოს და მის მმართველ გუნდს გასული თვეების განმავლობაში ძალზე მტკივნეული პროცესების გავლა უწევდა და უწევს. საქართველოსთვის და მისი ხელისუფლებისთვის ვითარებას განსაკუთრებით ართულებს ის გარემოება, რომ გარკვეული ძალები საქართველოს ომში ჩათრევას აქტიურად ცდილობდნენ და მათი ეს სურვილი და მიზანი, სამწუხაროდ, დღესაც აქტუალურია.

უდიდესი სირთულეების მიუხედავად, მმართველმა გუნდმა სწორად იმუშავა, სწორი და პრინციპული პოზიცია დაიკავა და მთავარი სირთულე, ომის საფრთხის პირველი ეტაპი უკვე გადალახა. ამ ძალისხმევის წყალობით, საქართველოს ომში ჩათრევის უშუალო საფრთხე დღეს მაქსიმალურად არის განეიტრალებული. თუმცა, აქვე აღვნიშნავ, რომ უკრაინაში ომის დასრულებამდე, გარკვეული რისკები ჯერ კიდევ რჩება და როგორც ხელისუფლებას, ისე საზოგადოებას მაქსიმალური სიფრთხილე მართებს, რათა საქართველომ საბედისწერო ომი საბოლოოდ აიცილოს თავიდან.

ამასთან, დღეს, როდესაც ომის უშუალო საფრთხე უკვე მაქსიმალურად არის განეიტრალებული, მიმაჩნია, რომ მმართველ გუნდს აქვს შესაძლებლობა, თავისი ყურადღება მეტწილად კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტზე გადაიტანოს და იზრუნოს, რომ საქართველოს ურთიერთობები სტრატეგიულ პარტნიორთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ევროკავშირთან არ დაზიანდეს.

რაც შეეხება ჩემს პირად პრობლემას, რომელიც შვეიცარიულ ბანკთან ურთიერთობაში წარმოიშვა და დღესაც აქტუალურია, მიმაჩნია, რომ საქართველოში მიმდინარე პროცესებთან მას პირდაპირი კავშირი აქვს. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველომ რთულ სიტუაციას, პრაქტიკულად, თავი უკვე გაართვა და ომის უშუალო საფრთხე გადაიარა, მირჩევნია, ჩემი და შვეიცარიული ბანკის ურთიერთობა ჩემ პირად პრობლემად დავტოვო და ეს პრობლემა საზოგადოებას ზედმეტად თავს არ მოვახვიო. აქ იმასაც არა აქვს მნიშვნელობა, თუ რაზე ვგეგმავდი შვეიცარიული ბანკის მიერ გაჩერებული თანხების დახარჯვას – კერძო მიზნებისთვის თუ საზოგადოებრივი საჭიროებისთვის. მირჩევნია, ბანკის მიერ შექმნილი პრობლემა საზოგადოებამ ყველა შემთხვევაში ჩემ პირად პრობლემად განიხილოს. შედარებით დეტალურ განმარტებებს ამ საქმეზე ჩემი ადვოკატი აკეთებდა და მომავალშიც გააკეთებს.

ჩემთვის მთავარია, საქართველომ შეძლოს ურთულესი ვითარებიდან საბოლოოდ სათანადოდ გამოსვლა და მშვიდობის შენარჩუნება, ჩემ პირად საკითხზე კი, მე თავად ვიზრუნებ და ამ პრობლემით საზოგადოების ზედმეტად დატვირთვას არ შევეცდები.

დასასრულს, რადგან საჯაროდ დაისვა შეკითხვა უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ ჩემსა და ამერიკის ელჩს შორის შეხვედრის გამართვის შესახებ, საზოგადოებას მინდა განვუმარტო, რომ ამგვარი შეხვედრა ელჩის თხოვნით 21 მარტს ნამდვილად შედგა და ის დაახლოებით სამ საათს გაგრძელდა“, – წერია განცხადებაში.

## ყაველაშვილი: „დეგნანი მხარს უჭერს ადამიანებს, რომლებსაც ქვეყნის ომში ჩართვა უნდოდათ“

„ქართული ოცნებიდან“ წასული დეპუტატი მიხეილ ყაველაშვილი საქართველოში ამერიკის ელჩს კელი დეგნანს კიდევ ერთხელ ესხმის თავს.

– როცა კელი დეგნანს ეს კითხვა დავუსვით, აქ იყო საუბარი ომის შემდეგ თუ იყო შეხვედრა და მოდი სიმართლე ვთქვათ, რომ პირდაპირ პასუხს, ქალბატონი ელჩი გაექცა ხომ, ეს ფაქტია. ჩვენ სწორედ ეს გვაინტერესებდა იმიტომ, რომ როცა ვსაუბრობთ, რომ იყო ასე ვთქვათ ინფორმაციები, იყო ინფორმაციები, რომ რაღაც კულუარებში ხდებოდა რაღაც შეხვედრები და მოთხოვნები, გაიხსენეთ პრემიერის განცხადება, კიდევ ერთხელ ვიძახი, საქართველოს ჩართვა საომარ მოქმედებებში და მეორე ფრონტის გახსნა. სხვა რამეზე კი არ ვსაუბრობ, ჩვენ თვალწინ ხდებოდა და აღარ გამომაგორებინოთ ახლა ვინ რას იძახდა, ვინ რა მოწოდებებით გამოდიოდა, ვის რა სურდა და ა.შ. ეს ლოგიკური ჯაჭვი შეკრულია.

კელი დეგნანი იმ შუაშია, რომ ადამიანებს, რომელსაც ის მხარდაჭერას უცხადებს, ადამიანები, რომლებიც ამ პროცესში მონაწილეები იყვნენ, ამ პროცესში, რომელსაც საქართველოს ომში ჩართვა უნდოდა, ლოგიკურ ჯაჭვს სად ვხედავ იცით? ეს რომ ვერ განახორციელეს საქართველოს ხელისუფლების მეთაურობით, დაიწყო პროცესი, რომ როგორმე რევოლუციური სცენარი განვითარებულიყო და ამ ომის ფონზე, გლობალური დაძაბულობის ფონზე მომხდარიყო საქართველოს ხელისუფლების ცვლილება, – ამბობს მიხეილ ყაველაშვილი.

## შალვა ნათელაშვილი: „ეს წერილი გახლავთ ამერიკის მიმართ მორიგი შანტაჟი“

ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი ოლიგარქი ბიძინა ივანიშვილის მიერ გუშინ გავრცელებულ წერილს ეხმაურება.

– საზოგადოების შეწუხებაზე კი არ არის საქმე, მან დაკარგა 600 მილიონი შვეიცარიის ბანკში ძალიან სწორად და კიდევ დაკარგა 2 მილიარდი იმ ტრასტის მეშვეობით, რომელიც თვითონვე დაიქირავა. ეს წერილი გახლავთ ამერიკის მიმართ მორიგი შანტაჟი: აი, მე თუ დავსანქცირდები საბოლოოდ, მაშინ მოვალებ პირს და ვიტყვი, რომ თქვენი ელჩი თქვენი დავალებით მაიძულებდა, ომი დამეწყო რუსეთისათვის. თითქოს ორ დღეში აიღებდა მოსკოვს. აი საუკუნის ტყუილი, – ამბობს შალვა ნათელაშვილი.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ბიძინა ივანიშვილს სპექტაკლი ჩაუვარდა“

## ლელა ჯეჯელავა: „კელი დეგნანთან ამ რქაგრეხილობას მწარედ ზღავს ბიძინა ივანიშვილი. კონფიდენციალური შეხვედრის შინაარსის გარეთ გამოსვლა გამოუსწორებელი შეცდომაა“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი ლელა ჯეჯელავა პასუხობს.**

***– ქალბატონო ლელა, გუშინ ბიძინა ივანიშვილის წერილი გავრცელდა. საზოგადოებას უკვე ეჭვი აღარ ეპარება, რომ სწორედ ის იყო ამ კამპანიის ავტორი – ომი გინდათ? როგორ აფასებთ მის წერილს, რა გზავნილები ამოიკითხეთ?***

– იმაში ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ამ სპექტაკლის რეჟისორი, როგორც ყოველთვის ბოლო 10 წლის განმავლობაში, გახლდათ ბიძინა ივანიშვილი. „ოცნების“ ყველა წარმოდგენას ეტყობა ბიძინას, როგორც რეჟისორის, ხელწერა. ასე რომ, ამაში ეჭვი არ გვეპარებოდა. ახლა რა გავიგე მე ამ წერილიდან.

***– რა გაიგეთ?***

– ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც გავიგე, ის არის, რომ ბიძინა ივანიშვილს ძალიან არ ულხინს, მიხვდა, რომ სპექტაკლი ჩავარდა და ახლა საჭიროა როგორღაც მისი გადარჩენა.

***– გამოდის კულისებიდან?***

– არა. მე ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ის განცხადების გაკეთებას აღარ აპირებს. მას რამე მეტის თქმა რომ სდომებოდა, ამ წერილშივე იტყოდა ან უფრო მეტ ინტრიგას დატოვებდა. რა გვითხრა მთავარი? მთავარი ის გვითხრა, რომ კელი დეგნანთან შეხვედრა შედგა კელი დეგნანის ინიციატივით, თუმცა დახურული დატოვა ამ საუბრის შინაარსი და, როგორც ჩანს, არ აპირებს ამის გამჟღავნებას. დავიწყოთ იქიდან, რომ ეს არის უკიდურესად უხეში დარღვევა ყველანაირი დიპლომატიური, პოლიტიკური, სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების პროტოკოლის, როდესაც შენ კონფიდენციალური შეხვედრის დეტალები გინდა გამოიტანო გარეთ. ეს არის უკიდურესად უხეში შეცდომა და მე პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ ამას არ პატიობენ პოლიტიკაში! და არც ბიძინა ივანიშვილს არ ეპატიება. მე არ ვიცი, გასცემს თუ არა კელი დეგნანი მას პირდაპირ პასუხს, მაგრამ ირიბი პასუხი, რომელსაც მიიღებს ბიძინა ივანიშვილი, იქნება ძალიან მწარე. რატომღაც ბიძინა ივანიშვილი ფიქრობდა, რომ კელი დეგნანი მასთან ვალშია.

***– ასე რატომ იფიქრა?***

– მე არ ვიცი, რამ შეუქმნა მას ასეთი შთაბეჭდილება, არ ვიცი არც მათი ურთიერთობის წინა პერიოდი და არც ბოლო როგორია, მაგრამ აი ამ ყველაფრიდან, რასაც მე ვხედავ, მიჩნდება განცდა, რომ ის კელი დეგნანს თვლიდა თავის მოკავშირედ და, როდესაც კელი დეგნანმა საკუთარი სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესების დაცვა გადაწყვიტა, როცა ამისი აუცილებლობა დადგა საქართველოში, ბიძინა დარჩა ფრიად გაკვირვებული და ამის მერე ცდილობს, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი საქართველოში დასაჯოს. მას კი ამის უფლებას არავინ არ მისცემს. წესით, ეს უნდა აუხსნან, მის გარშემო თუ არის ვინმე დარჩენილი, ვისაც პოლიტიკის ანბანი ესმის.

***– ამით დაადასტურა ივანიშვილმა, რომ ქვეყნის არაფორმალური მმართველია, ან რა სტატუსით შეხვდა ამერიკის ელჩს?***

– ეს ცალკე საკითხია, ამერიკის ელჩი რატომ ხვდება ადამიანს, რომელიც პოლიტიკაში არ მონაწილეობს. ან რატომ კარგავს ამ სამ საათს მასთან შეხვედრაზე?! გარდა ამისა, ამ წერილით მან ასევე დაადასტურა, რომ ის მართავს პროცესებს. ამ წარმოდგენას, აბა, ომი გინდათ? რეალურად რომლის დედააზრიც იყო საქართველოში ანტიდასავლური განწყობების კულტივირება, რომ ამ პროცესს მართავდა ბიძინა ივანიშვილი. ეს მან ამ წერილით ღიად დაადასტურა. ასე რომ, ყოველი ნაბიჯი, რომლებიც მათ ბოლო პერიოდში გადადგეს, ბუმერანგივით უბრუნდებათ უკან. ეს ჯერ კიდევ არაფერი არ არის. წინ გვაქვს მოვლენები, როდესაც შეიძლება, უკან მობრუნებული ბუმერანგის სიმძიმემ ბატონ ბიძინა ივანიშვილს თავი ძალიან ცუდად გაუტეხოს.

### „არ ვიცი, ამ წერილს როგორ აღიქვამენ ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერები და ფანები, მაგრამ ეს ძალიან ჰგავს კუთხეში მიყენებული კაცის წერილს“

***– როდესაც ასეთი წნეხია დასავლეთიდან ივანიშვილზე, პოლიტიკაში ხომ არ შემობრუნდება? მით უმეტეს, ასეთი სუსტი ოპოზიციის პირობებში.***

– ბიძინა ივანიშვილის მთელი „ფიშკა“ იყო ის, რომ ის იყო არაფორმალური მმართველი და პასუხს არ აგებდა იმ სისულელეზე, რასაც ამბობდა და აკეთებდა მისი გუნდი. როგორ ფიქრობთ, ახლა ის რომ პოლიტიკაში მობრუნდეს და პასუხისმგებლობა აიღოს ამ ყველაფერზე, რა მდგომარეობამდეც მისმა არასწორმა და არაფორმალურმა მმართველობამ მიიყვანა ქვეყანა, უნდა მას ეს? ცხადია, არ უნდა ამაზე პასუხისმგებლობის აღება, იმიტომ, რომ ამ პასუხისმგებლობის ტვირთს ნამდვილად ვერ გაუძლებს. ის მუდმივად თამაშობდა და ამით ირიდებდა პასუხისმგებლობას. თუ ამას იზამს, ცხადია, კიდევ უფრო უარესად დამთავრდება ის ყველაფერი, ვიდრე შესაძლოა დამთავრდეს. არ ვიცი, ამ წერილს როგორ აღიქვამენ ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერები და ფანები, მაგრამ ეს ძალიან ჰგავს კუთხეში მიყენებული კაცის წერილს.

***– შვეიცარიული ანგარიშიც ახსენა წერილში, არც იმას ვიტყვი, რის გაკეთებას ვაპირებდი ამ თანხითო. დააყვედრა საზოგადოებას ეს ყველაფერი?***

– ბიძინა ივანიშვილი ხომ მუდმივად გვაყვედრის იმას, რაც გაგვიკეთა. მე ქველმოქმედება ვიცი ისეთი, ილია ჭავჭავაძემ რომ გვასწავლა: მადლი ქენი, ქვაზე დადე და გაიარეო. ასეთი ქველმოქმედები გვყავდა ჩვენ, ქართველებს. ამ კაცმა თავისი კაპიტალის ნაწილი მართლაც მოახმარა ქვეყანას, მაგრამ ტომებად გამოსცა თავისი ქველმოქმედება. ამას ქველმოქმედება აღარ ჰქვია! ახლა კი უნდა, რომ პროცენტებით გადავიხადოთ ეს ყველაფერი.

***– ღიად ადანაშაულებს დასავლეთს, როდესაც აცხადებს, გარკვეულ ძალებს ჩვენი ომში ჩართვა უნდოდათო? ან როგორი იქნება ამაზე დასავლეთის პასუხი?***

– დასავლეთის პასუხი რომ ძალიან მძიმეა, ამაზე ეს წერილიც მეტყველებს. ამ წერილის მთავარი გზავნილი, რაც, წესით, გამგებმა უნდა გაიგოს, არის ის, რომ დასავლეთთან ურთიერთობა მნიშვნელოვანია, ანუ მან ამოღერღა ის, რაც მნიშვნელოვანი იყო, რომ დასავლეთთან პარტნიორობის სტრატეგიულ კურსს საქართველომ არ უნდა გადაუხვიოს არც მისი პირადი



პრობლემების გამო. იმედი მაქვს, მისი მხარდამჭერები დაუჯერებენ ბატონ ბიძინას და ყველა ხუნდაძესავით არ აჯანყდება.

***– რატომ თქვა ეს ივანიშვილმა, სხვა გზა არ ჰქონდა?***

– ნამდვილად არ ჰქონდა, მას უნდა ეთქვა, რომ დასავლეთი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია. ამ წერილით მისი მთავარი ამოცანა მაინც იყო ის, რომ ეთქვა, ელჩთან შეხვედრა რომ შედგა. თუმცა არ გაგვაცნო ამ შეხვედრის შინაარსი და ამას ვერც ვერასოდეს ვერ იტყვის.

***– შეხვედრა რომ გაამჟღავნა, ესეც შეცდომა იყო?***

– რასაკვირველია. როდესაც მან კონფიდენციალური შეხვედრა საჯაროდ გამოიტანა და ფაქტია, რომ სუბარმა და ყაველაშვილმა იციან ამ შეხვედრის შინაარსი, ეს უკვე უზარმაზარი შეცდომაა, რომელსაც ბიძინა ივანიშვილს არავინ არ აპატიებს. გავა დრო და დაიხსომეთ ჩემი სიტყვა, კელი დეგნანთან ამ რქაგრეხილობას როგორ მწარედ ზღავს ბიძინა ივანიშვილი. როდესაც კონფიდენციალური შეხვედრის შინაარსი გარეთ გამოდის, ეს არის გამოუსწორებელი შეცდომა და დანაშაული სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში, რასაც სახელმწიფოები ერთმანეთს არ პატიობენ.

# „გახარიამაც ღიად უნდა თქვას, რა მოხდა 20 ივნისს“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „ივანიშვილი დასავლეთს ისევ ევაჭრება“



**„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

ნათია ხურცილავა

***– ლაშა, ბიძინა ივანიშვილს გამოქვეყნებული წერილით რის თქმა უნდოდა?***

– ბიძინა ივანიშვილმა ამ წერილით დაადასტურა, რომ აქამდე გამოქვეყნებული ყველა წერილის ავტორი თავად არის. ასევე, ამ წერილით დაადასტურა, რომ ყველა გადაწყვეტილება, რომლებიც ქვეყანაში მიიღება, მიიღება სწორედ შუშის სასახლიდან და ყველაფრის ავტორი თავადაა.

ამ წერილით ივანიშვილმა დაადასტურა, რომ ე.წ. ტროიკის ავტორიც თავად არის. თუმცა, ეჭვიც არავის არ ეპარებოდა, რომ სოზარ სუბარი, ხუნდაძე და ყაველაშვილი რამეს საკუთარი გადაწყვეტილებით გაბედავდნენ, არათუ დაუპირისპირდებოდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებს. ოდნავ მაინც თუ ვინმეს ეჭვი ეპარებოდა, თუ რა მიზანს ემსახურებოდა „ტროიკის“ გამოყოფა, დღეიდან მათთვისაც ყველაფერს ნათელი მოეფინა.

***– თქვენ როგორ გაიგეთ, რა მიზანი ჰქონდა ამ წერილს?***

– არაფერი, ისევ ევაჭრება დასავლეთს და, თუ ვინმე დარჩა ფანატიკოსებიდან, რომლებსაც ვერ ვუწოდებდი მხარდამჭერებს – მათი მობილიზება-კონსოლიდირება.

როგორ წარმოგიდგენიათ, „ტრიომ“ მოუწოდა ივანიშვილს, რომ დაადასტუროს, ჰქონდა თუ არა შეხვედრა კელი დეგნანთან ამერიკის ელჩის მოთხოვნით და ბიძინა ივანიშვილი, როგორც მორჩილი, გამოვიდა და დაუდასტურა. ეს ხომ ფანტასტიკის სფეროდან არის! ყველაფერს თავად ჩამოხსნა ნიღაბი. თუმცა, დიდი ხანია მეფე შიშველია!

***– გიორგი გახარია, რომელიც აქამდე ყოველთვის ერიდებოდა ივანიშვილის ხსენებასაც კი, დღეს ღიად ამბობს, რომ სწორედ ის დგას ანტიდასავლური პროპაგანდის უკან.***

– ამ შემთხვევაში, შემიძლია ვთქვა, რომ ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი ამ ლოგიკურ დასკვნამდე მიდის. ეს ძალიან მარტივად დასანახია, რადგან ხელისგულზე დევს ყველაფერი. დამატებითი ინფორმაციები არ არის საჭირო. თუმცა, გახარიას მხრიდან ახლა მხოლოდ სწორი შეფასებები საკმარისი არ არის.

***– რას ითხოვთ მისგან?***

– აღიარებით ჩვენებას 20 ივნისთან დაკავშირებით. გახარია უნდა გამოვიდეს და ღიად უნდა უთხრას საზოგადოებას, ხალხს, ვისგან მოდიოდა 20 ივნისის მიტინგის დარბევის ბრძანება. ხალხი ამას იმსახურებს, ეს უნდა იცოდნენ ამ ქვეყნის მოქალაქეებმა. ამიტომ, დროა, გახარიამ მეტი გააკეთოს ამ ქვეყნის უკეთესი ხვალინდელი დღისთვის. მხილების დროა!

***– კელი დეგნანთან შეხვედრის თემაზე რას იტყვით? ელჩის მოთხოვნით გაიმართა სამსაათიანი შეხვედრაო, განაცხადა ივანიშვილმა.***

– ვინმემ იცის, რეალურად რა საკითხზე შედგა შეხვედრა?! ამ შეხვედრით ის დადასტურდა, რომ რეალურად სახელმწიფოს ფარდის უკან მდგომი კაცი მართავს. ამერიკამ იცის, რომ არაფორმალურ მმართველთან გვაქვს საქმე.

მეორე, ეს არის პირდაპირ კონფრონტაციის გაგრძელება ამერიკასთან, დასავლეთთან. ეს ცეცხლთან თამაშია. ქვეყნის ინტერესებით ასე თამაშის უფლება არავის მიუცია ივანიშვილისთვის. სტრატეგიულ პარტნიორთან ურთიერთობის ასეთი დაძაბვა სრულიად წარმოუდგენელია, თან სახელმწიფოს ინტერესების ხარჯზე პუტინისთვის ხდება კიდევ ერთხელ ერთგულების დადასტურება.

ივანიშვილი იმდენს იზამს, რომ მართლა დასანქცირდება და მერე არათუ ხელფასგადახდილი მომხრეები, კობახიძეც კი მიატოვებს და გაიქცევა მისგან. როგორც იტყვიან, „ოცნებიდან“ ბუნდღაც კი აღარ დარჩება, ყველა გაექცევა.

***– რთული წარმოსადგენია. კობახიძეც?***

– თუ ივანიშვილის ფული რისკის ქვეშ დადგება, ყველა დატოვებს, ყველა. რა თქმა უნდა, კობახიძეც. საფლავში ვის ჩაჰყოლიან, რომ ივანიშვილს ჩაჰყვნენ?! ეს ხალხი დღეს ივანიშვილის საბანკო ანგარიშის მცველია, მაგრამ ესენი რა მოსატანია, მთელი საქართველო გვაქცია საკუთარი ანგარიშის მცველებად. წერილში შვეიცარიული ანგარიში ახსენა, მაგრამ, როგორც გვითხრა, რა მნიშვნელობა აქვს, საზოგადოებრივი სიკეთეებისთვის მინდოდა ამ ფულის დახარჯვა თუ პირადი ინტერესებისთვისო. იმდენს ხვდება, რომ უკვე მეტისმეტი იქნებოდა და ხალხი ამას არ გადაყლაპავდა. ამიტომ არ თქვა, თქვენთვის მინდოდა, მაგრამ არ მაძლევენო. როგორც ჩანს, მიხვდა, რომ ეს „ტრიუკი“ არ გაუვიდოდა. სამარცხვინოა ეს ყველაფერი. საქართველოთი ვაჭრობს დასავლეთთან. საკუთარი ფულის დასაცავად ყველაფერს იზამს.

დემოკრატიის შირმა დღითიდღე ეცლება. დარწმუნებული ვარ, საზოგადოება საბოლოოდ მიხვდა, რომ მხოლოდ საკუთარ თავსა და საკუთარი ფულის გადარჩენაზე ზრუნავს. ეს არის მიზანი. ამიტომ შემოდგომა, როგორც იტყვიან, კარს არის მომდგარი და ვადამდელი არჩევნები უნდა მოვიპოვოთ. სხვა გამოსავალი არ არსებობს.

# ლევან დავითაშვილი: „საქართველოსა და ყაზახეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობები გაღრმავდება“

„ყაზახეთის რესპუბლიკაში ვიზიტის ფარგლებში ჩვენ ხელი მოვაწერეთ რამდენიმე შეთანხმებას, რომელიც საქართველოსა და ყაზახეთს შორის ეკონომიკურ ურთიერთობებს უფრო გააღრმავებს, – ამის შესახებ, ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა, ყაზახეთში განაცხადა.



მისი თქმით, ხელი მოეწერა ყაზახეთთან სავაჭრო ბრუნვის ნომენკლატურის შეთანხმებას, რომელიც ხელს შეუწყობს სავაჭრო ბრუნვის ზრდას ყაზახეთსა და საქართველოს შორის.

საგარეო საქმეთა მინისტრ ილია დარჩიაშვილის თქმით, მთავრობის მეთაურის ვიზიტი აუცილებლად იქნება ახალი იმპულსი საქართველო-ყაზახეთის ურთიერთობებში.

– ყაზახეთთან ჩვენ ტრადიციულად გვაკავშირებს კარგი ორმხრივი მეგობრული ურთიერთობები, ჩვენ ამ ვიზიტის ფარგლებში გვქონდა შესაძლებლობა განგვეხილა კოლეგებთან, თუ როგორ გავაძლიეროთ ჩვენი უკვე არსებული კარგი და ძალიან ძლიერი ორმხრივი ურთიერთობები ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ ჩვენ გვქონდა ძალიან აქტიური საუბარი იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოხდეს არსებული ეკონომიკური პოტენციალის კიდევ უფრო მეტად გამოყენება, როგორც ჩვენი რეგიონის ჭრილიდან დანახული, ისე ამ რეგიონის. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტი აუცილებლად იქნება ახალი იმპულსი ამ ურთიერთობებში, იმისთვის, რომ გავაძლიეროთ ჩვენ ეს თანამშრომლობა და პარტნიორობა, რათა ამ თანამშრომლობით შეიქმნას ის შესაძლებლობები, რომელიც გააძლიერებს ჩვენს ორ ქვეყანას შორის ეკონომიკურ თანამშრომლობას და ზოგადად რეგიონულ თანამშრომლობას, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია ვაჭრობისა და ზოგადად ეკონომიკური თანამშრომლობის კუთხით, – აღნიშნა ილია დარჩიაშვილმა.



შევიძენ
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

# თურქეთი ნატოდან გამოდის?

მარიამ მჭედლიშვილი

## პოლონელი აღმოსავლეთმცოდნე ვიტოლდ რეპეტოვიჩი: „თურქეთს უნდა უკრაინის რუკით თამაში ნატოსა და რუსეთთან ურთიერთობაში“

უკრაინაში რუსეთის ინტერვენციის დაწყების შემდეგ მსოფლიოში საუბრობენ იმ სპეციფიკურ პოზიციაზე, რომელიც ნატოს წევრმა თურქეთმა დაიკავა ამ ომის მიმართ. ცნობილია, რომ უკრაინა რუსეთის წინააღმდეგ წარმატებით იყენებს თურქეთში შესყიდულ ბაირაქტარებს, პოლიტიკურად მხარს უჭერს უკრაინას, ამასთანავე, სანქციებს არ უცხადებს რუსეთს. ევროპელი ექსპერტების ინფორმაციით, თურქეთის მიერ რუსეთის სამხედრო გემებისთვის ბოსფორის სრუტის ჩაკეტვაც კი სრული არ ყოფილა, ვინაიდან რუსეთის სამხედრო ტექნიკა რუსეთის სამოქალაქო გემებს გადაჰქონდათ. ბოლო დროს უკრაინამ ანკარას წაუყენა პრეტენზია იმაზე, რომ თურქეთი შედის იმ ქვეყნების რიცხვში, რომლებიც ყიდულობენ რუსეთის მიერ მოპარულ უკრაინულ ხორბალს.

პოლონელი აღმოსავლეთმცოდნე **ვიტოლდ რეპეტოვიჩი** პოლონურ მედიასთან აცხადებს, რომ თურქეთს ბალანსირება სურს. მისი სიტყვებით, თურქეთს უნდა უკრაინის რუკით თამაში ნატოსა და რუსეთთან ურთიერთობაში.

ნატოს ზოგიერთ სახელმწიფოსთან თურქეთს რთული ურთიერთობა აქვს. საუბარი არ არის მხოლოდ იმაზე, რომ თურქეთი შვედეთსა და ფინეთს ნატოში გაწევრიანებაზე თანხმობის სანაცვლოდ საკუთარ პირობებს უყენებს. აგვისტოში გაიმართება საბოლოო მოლაპარაკებები თურქეთს, შვედეთსა და ფინეთს შორის. შესაძლოა, ისინი უშედეგოდ დამთავრდეს. არ არის გამორიცხული მოვლენების უფრო დრამატულად განვითარებაც, რომელიც არასახარბიელოა საქართველოსთვის.



### თურქი პოლიტოლოგი: „აშშ, საფრანგეთი და საბერძნეთი თურქეთის მიმართ მტრობას იჩენენ“

თურქეთ-ნატოს ურთიერთობაზე აზერბაიჯანულ მედიასთან საუბრობს თურქი პოლიტოლოგი **მეხმეტ პერინჩეკი.**

***– განმარტეთ, რა პრობლემები აქვს თურქეთს ნატოსთან?***

– ქურთი ტერორისტების ჭკუაზე მარტო ფინეთი და შვედეთი არ დადიან. აშშ-ც ღიად ამარაგებს და მხარს უჭერს მათ სირიაში. ქურთისტანის მუშათა პარტია ყველაზე დიდ დახმარებას ვაშინგტონიდან იღებს. არის კიდევ აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის საკითხი, სადაც არსებობს ღია კონფრონტაცია თურქეთსა და ნატოს სხვა წევრ ქვეყნებს შორის. აშშ ქმნის ანტითურქულ ბლოკს, ზღვაზე ტარდება წვრთნები, რომელსაც თურქეთი მუქარად აღიქვამს.

***– ანტითურქულ ბლოკში გულისხმობთ აშშ-ს, საბერძნეთსა და საფრანგეთს?***

– მთლიანობაში – დიახ. თურქეთს ალყაში აქცევენ ეგეოსის ზღვიდან. შექმნილია სამხედრო ბაზები, რომელთა მიზანია არა მარტო წინააღმდეგობა რუსეთის მიმართ. ეს აშკარაა. თურქეთის პრეზიდენტი რეჯეპ ტაიპ ერდოღანი ამბობდა, რომ თრაკიაში, ბერძნულ კუნძულებზე ამერიკული ბაზების განთავსება წარმოადგენს მუქარას თურქეთისთვის.

დასავლეთი მხარს უჭერს ტერორისტებს გიულენის მოძრაობიდანაც. ნატომ და აშშ-მ მოახდინეს სამხედრო გადატრიალების ორგანიზების მცდელობა გიულენისტების დახმარებით. მათ რეჯეპ ტაიპ ერდოღანის მარტო დამხობა კი არა, მისი ფიზიკურად განადგურება უნდოდათ.

ასე რომ, ახლა არსებობს სერიოზული და ტრაგიკული კონფრონტაცია თურქეთსა და ნატოს წევრ ქვეყნებს შორის. რასაკვირველია, თუ ნატო უარს იტყვის გეგმებზე, რომლებიც ანკარას არ აწყობს, მაშინ ურთიერთობის მოგვარება შესაძლებელია. როგორც ვხედავთ, აშშ-სა და ალიანსის ქვეყნებს ამის სურვილი არ აქვთ.

ამგვარად, მოლაპარაკებები აგვისტოში შეთანხმებამდე არ მივა. თურქეთმა შესთავაზა თავისი პირობები შვედეთსა და ფინეთს ნატოში გასაწევრიანებლად, მაგრამ ამ ქვეყნებმა მემორანდუმის არცერთი პუნქტი არ შეასრულეს.

ყველა მიმდინარე მოვლენის გათვალისწინებით, შემიძლია ვივარაუდო, რომ თურქეთმა შეიძლება გადაწყვიტოს ნატოდან გამოსვლა, ვინაიდან ალიანსი უბრალოდ უგულებელყოფს ანკარის ინტერესებს. ეს საკითხი შევა თურქეთის დღის წესრიგში. ნატოში ყოფნით თურქეთი ვერ უზრუნველყოფს თავის ეროვნულ უსაფრთხოებას.

უნდა შეიქმნას ახალი ალიანსი და ამაზე უკვე საუბრობენ. პირველ რიგში, ლაპარაკია აზიის თურქულ სახელმწიფოებზე, ცენტრალური აზიის ქვეყნებზე. შესაძლებელია რუსეთის, პაკისტანის, ინდოეთის, ჩინეთის მოზიდვა (თუმცა, ბოლო სამს საკუთარი წინააღმდეგობები აქვს). ირანთანაც კი შეიძლება მოლაპარაკება, რაც დადასტურდა ახლახან თეირანში გამართულ სამიტზე. თურქეთის ყოფნა ნატოში ხელს უშლის ასეთი სრულფასოვანი ალიანსის შექმნას.

ნატოდან თურქეთის გამოგდება შეუძლებელია. არსებობს ორგანიზაციის წესდება, რომელიც ამას არ ითვალისწინებს. იმავდროულად, ალიანსის ქვეყნები ყველაფერს აკეთებენ, რაც უნდათ და არ ითვალისწინებენ თურქეთის ინტერესებს.

***– გამოდის, რომ ნატოს წევრები, პირველ რიგში, აშშ, საფრანგეთი და საბერძნეთი, ისე იქცევიან, რომ თურქეთი თავად გამოვიდეს ალიანსიდან?***

– შეიძლება ასეც ითქვას. ისინი იჩენენ დაუფარავ მტრობას თურქეთის მიმართ. თუ ეს ნეგატიურად აისახება თურქეთის სასიცოცხლო ინტერესებზე, მაშინ რატომ უნდა დარჩეს ანკარა ალიანსში? ამ საკითხზე უკვე იმსჯელა თურქეთის პოლიტიკუმმა.

# ირაკლი ღარიბაშვილი: „საქართველომ და ყაზახეთმა 30-წლიანი დიპლომატიური ურთიერთობების შედეგად მჭიდრო პარტნიორობა დაამყარეს“

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ყაზახეთის პრემიერ-მინისტრ აიხან სმაილოვს შეხვდა.

პრემიერების პირისპირ შეხვედრაზე საუბარი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებს და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებს შეეხო.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, ყაზახეთსა და საქართველოს მრავალწლიანი მეგობრული ურთიერთობები აკავშირებს.

– ბატონო პრემიერ-მინისტრო, დიდი მადლობა თბილი მიღებისა და მასპინძლობისთვის. როგორც მოგეხსენებათ, ეს ჩემი მეორე ვიზიტია თქვენს ქვეყანაში და მადლობა მინდა გადაგიხადოთ ასეთი თბილი მიღებისთვის. ჩემი მთავარი გზავნილი ის არის, რომ მინდა დავადასტურო პარტნიორობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისთვის ჩვენი მზაობა, რომელიც, უნდა ითქვას, რომ ძალიან წარმატებული აღმოჩნდა ბოლო წლების განმავლობაში. ისტორიულად ძალიან ძლიერი ურთიერთობები და მეგობრობა გვაკავშირებს. წელს აღინიშნება ჩვენი დიპლომატიური ურთიერთობების განახლებიდან 30 წლის იუბილე და სწორედ ამიტომ, ჩემი მთავარი გზავნილი გახლავთ ჩვენი ორმხრივი ურთიერთობების, მეგობრობისა და თანამშრომლობის გაძლიერების სურვილი. ამიტომ, კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.



როგორც ყაზახეთის პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, ყაზახეთი მზადაა, გააძლიეროს ქვეყნებს შორის არსებული თანამშრომლობა.

ყაზახეთის რესპუბლიკაში ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს კასიმ– ჟომარტ ტოკაევს შეხვდა. კასიმ–ჟომარტ ტოკაევმა ირაკლი ღარიბაშვილს დელეგაციასთან ერთად, „აკორდას“ სასახლეში უმასპინძლა.

შეხვედრისას მხარეებმა საქართველოსა და ყაზახეთის რესპუბლიკის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების პერსპექტივების, ინვესტიციების სფეროში არსებული თანამშრომლობის და ამ მხრივ არსებული მიღწევების შესახებ ისაუბრეს.

აღინიშნა, რომ ორ ქვეყანას ტრადიციულად მჭიდრო მეგობრული და პარტნიორული კავშირები აქვთ და ხაზი გაესვა არსებული პოტენციალის სრულად ათვისების მნიშვნელობას.

პრემიერ-მინისტრის თქმით, ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავებისთვის მაღალი პოტენციალი არსებობს.

– ბატონო პრეზიდენტო, დიდი მადლობა. უპირველეს ყოვლისა, თბილი მიღებისა და მასპინძლობისთვის გიხდით მადლობას. ეს ჩემი მეორე ვიზიტია თქვენს მშვენიერ ქვეყანაში და სიმბოლურია, რომ წელს აღინიშნება ჩვენი დიპლომატიური ურთიერთობების 30 წლის იუბილე. რა თქმა უნდა, კარგი ურთიერთობა, მეგობრობა და თანამშრომლობა გვაკავშირებს მრავალი მიმართულებით.

ერთი კონკრეტული გზავნილით გეწვიეთ, რათა გავაძლიეროთ და გავზარდოთ ჩვენი ორმხრივი ურთიერთობა და კავშირები გავაღრმავოთ ყველა მიმართულებით. სავაჭრო ბრუნვა იზრდება და გასულ წელს ამ მიმართულებით 42 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა. მიმდინარე წლის 6 თვის განმავლობაში უკვე 150 პროცენტიანი ზრდა გვაქვს.

რა თქმა უნდა, ბევრი შესაძლებლობა არსებობს და პოტენციალიც მაღალია ჩვენი ორმხრივი კავშირების გასაძლიერებლად. აქვე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ამ ურთიერთობას, მეგობრობას და თანამშრომლობას დიდად ვაფასებთ. კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას გულთბილი მიღებისთვის, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

შეხვედრაზე ყაზახეთის პრეზიდენტმა კასიმ-ჟომარტ ტოკაევმა? აღნიშნა, რომ ორ ქვეყანას მჭიდრო კავშირები და მეგობრული ურთიერთობა აქვს.

– მოგესალმებით ყაზახეთში. როგორც კატარში ჩვენს შეხვედრაზე შევთანხმდით, თქვენ ჩვენთან ჩამობრძანდებოდით და იმედი მაქვს, რომ თქვენი დღევანდელი ვიზიტი წარმატებული აღმოჩნდება, – განაცხადა პრეზიდენტმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ კასიმ-ჟომარტ ტოკაევთან შეხვედრას სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ ეხმაურება.

მთავრობის მეთაური აღნიშნავს, რომ შეხვედრაზე ორმხრივი თანამშრომლობის გაძლიერების საკითხები განიხილეს ტურიზმის, ლოგისტიკის, ვაჭრობისა და ტურიზმის სფეროებში.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, საქართველომ და ყაზახეთის რესპუბლიკამ 30 წლიანი დიპლომატიური ურთიერთობების შედეგად მჭიდრო პარტნიორობა დაამყარეს.

– ნაყოფიერი საუბარი მქონდა ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ კასიმ-ჟომარტ ტოკაევთან. აღინიშნა, რომ ჩვენმა ქვეყნებმა 30 წლიანი დიპლომატიური ურთიერთობების შედეგად მჭიდრო პარტნიორობა დაამყარეს. შეხვედრაზე ასევე განვიხილეთ ორმხრივი თანამშრომლობის გაძლიერების საკითხები ტრანსპორტის, ლოგისტიკის, ვაჭრობისა და ტურიზმის სფეროებში, – წერს პრემიერ-მინისტრი.

მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ნურ-სულთანში მომავლის ენერგიის მუზეუმს ,,ნურ-ალემს“ ეწვია.

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტი ყაზახეთის რესპუბლიკაში დასრულდა.

ნურსულთან ნაზარბაევის საერთაშორისო აეროპორტში პრემიერ-მინისტრი საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ იერმუხამბეტ კონუსპაევმა გააცილა.

# სოსო გოგაშვილი: „მე დავუკავშირდი მეუფე შიოს და მოვუყევი ყველაფერი“

სუს-ის ყოფილი მაღალჩინოსანი სოსო გოგაშვილი რუსთავის მე-12 დაწესებულებიდან მორიგ განცხადებას ავრცელებს და წერს, რომ ორი პიროვნება: რომანოვსკი და ადამია არიან პუტინის ახლო გარემოცვის – მატვიენკოს, პოლტავჩენკოსა და ასევე ეფ-ეს-ბეს გავლენის აგენტები, რომლებსაც „აქვთ დავალება, საქართველოში მოახდინონ პატრიარქის სასურველი კანდიდატით ჩანაცვლება“.

გოგაშვილი ამბობს, რომ პატრიარქის შემცვლელად მეუფე შიო განიხილებოდა.

– საქმის ირგვლივ მოგახსენებთ შემდეგს: ჩემთვის უცნაურია ხელისუფლებამ რატომ გადაწყვიტა ჩემი დასჯა ამ საქმით, რომელიც არის შეკერილი, როდესაც ვითომდა დაზარალებულები რუსეთის სპეცსამსახურებთან კავშირში მყოფი რუსეთის მოქალაქეები არიან, ამით პირდაპირ დასტურდება ჩვენი ძალოვანი უწყებების და რუსეთის სპეცსამსახურების კავშირი. მე ვფიქრობ, რომ ეს შეგნებულად გაკეთდა, რადგან რომ დიახ, ჩვენ ერთად ვართ, რასაც ვაკვირდებით ჩვენ ბოლო პერიოდში ქართული ოცნების მოქმედებებიდან და განცხადებებიდან. რომანოვსკი და ადამია არიან პუტინის ახლო გარემოცვის – მატვიენკოს, პოლტავჩენკოსა და ასევე ეფესბე-ს გავლენის აგენტები, რომლებსაც აქვთ დავალება საქართველოში მოახდინონ პატრიარქის სასურველი კანდიდატით ჩანაცვლება. ქართულ სპეცსამსახურებთან კავშირში რომ არიან ეს ზემოაღნიშნული (მიმდინარე) საქმითაც დასტურდება, რაშიც მე პირადად ეჭვი აღარ მეპარება და დასკვნები საზოგადოებისათვის მიმინდვია.

ახლა მოგიყვებით, რას აკეთებს და აკეთებდა ქართული მხარე და რა ფორმით ვიყავი მე ჩართული ამ ყველაფერში. სანამ კონკრეტულად ფაქტებზე გადავალთ, იქამდე მინდა რამდენიმე პასაჟი გავაკეთო სუს-ში ყოფნის პერიოდში და შემდეგაც, მე ყოველთვის ვცდილობდი ამ ყველაფრისთვის ხელი შემეშალა. პრევენციულად რამდენიმეჯერ სუსიდან წამოსულმა ეს ინფორმაცია ტელევიზიითაც გავაჟღერე, მაგრამ სავარაუდო კანდიდატები არ დამისახელებია (პატრიარქობის). პირველ კანდიდატად განიხილებოდა მეუფე შიო, რომელზეც ორივე მხარე მუშაობდა. მე ტელევიზიით არ გავაჟღერე ეს, იმიტომ, რომ მინდოდა, პირადად მეუფე შიო მენახა. 30 სექტემბერს



ინგა გრიგოლიასთან ჩემი ინტერვიუს შემდეგ მე დავუკავშირდი მეუფე შიოს და მოვუყევი ყველაფერი, რომ ხდებოდა ამ ტიპის ჩარევა, მისი სახელის ხსენება, რომ ეს დააზიანებდა მასაც და ეკლესიასაც.

ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ პატრიარქი აპირებდა გადადგომას კონკრეტულად 14 ოქტომბერს, ამის შესახებ მეუფე შიომაც დამიდასტურა და თქვა, რომ თვითონ შეწუხებული იყო და, ასევე ჩემი ინფორმაციით (რაც საპატრიარქოში ბევრმა იცის), ხელისუფლებასაც ამ დროისთვის არ აწყობდა პატრიარქის გადადგომა და მათ შეძლეს პატრიარქის გადარწმუნება. ეს ხდებოდა 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებამდე. მეუფე შიოს მე აღუთქვი დახმარება და ყველა სახის ინფორმაციის გაზიარება, რაც მას ააცილებდა. მან მადლობა გადამიხადა და მას შემდეგ არ დამკავშირებია. უფრო ადრე, 2020 წელს მე პირადად შევხვდი პატრიარქს და დეტალებში მოვუყევი მასთან დაკავშირებული შესაძლო საფრთხეების შესახებ და ამავე დროს დავანახე ჩემი მზაობა, შემეჩერებინა ეს ყველაფერი. მან ჩვეულებისამებრ ყველაფერი მოისმინა და მითხრა შემდეგი სიტყვები, რომელიც მე არასდროს არ დამავიწყდება: ,,იოსებ, შვილო, ნუ დაეჯახები მათ, დიდი შური იციან და ამისათვის არ მემეტები“. მე ვეამბორე მას ხელზე და ვუთხარი, რომ თავს უფლებას არ მივცემ და ჩემს გასაკეთებელ საქმეზე მას კურთხევას არ ვთხოვდი.

მას შემდეგ მე ავიღე რაღაც პაუზა, ამ ხნის განმავლობაში მივიღე ბევრი მუქარა, გაფრთხილება, ,,კეთილი რჩევა“, ცოტა ხნის შემდეგ დავიწყე პოლიტიკური აქტივობა, მხილების კამპანია, თვითმმართველობის არჩევნებამდე მეგობრული ,,რჩევა-გაფრთხილება“ მივიღე ვახო გომელაურისგან და პრემიერ ღარიბაშვილისგან, მაგრამ, რა ვიცოდი, საქმე რომ უკვე აღძრული ჰქონდათ, – წერს სოსო გოგაშვილი.

# გიორგი ონიანი: „პროკურატურას სრულყოფილად მივაწოდეთ ყველა ინფორმაცია“




„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ დირექტორის მოადგილის, გიორგი ონიანის განცხადებით, პროკურატურამ ამომრჩევლის მოსყიდვასთან დაკავშირებით სუს-ის ყოფილი უფროსის მოადგილის, სოსო გოგაშვილის მასალების გახსნა და ნახვა ვერ შეძლო. ამის შესახებ მან ჟურნალისტებთან, პროკურატურაში გასაუბრების დასრულების შემდეგ განაცხადა, რომელიც დაახლოებით, ხუთი საათის განმავლობაში გრძელდებოდა.

როგორც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წარმომადგენლები აცხადებენ, სოსო გოგაშვილის მიერ არასამთავრობოებისთვის მიწოდებული მასალა მათ პროკურატურას კომპიუტერული დისკის სახით მიაწოდეს, თუმცა მისი გახსნა ვერ შეძლეს. მათივე თქმით, დამატებით დისკს პროკურატურას ისინი უახლოეს დროში მიაწვდიან.

– სრულყოფილად მივაწოდეთ ყველა ინფორმაცია, რაც გვქონდა. მოლოდინი შემექმნა, რომ გამოძიებას დაიწყებენ. ბუნებრივია, რამდენჯერაც იქნება საჭირო პროკურატურაში მოსვლა, იმდენჯერ მოვალ. საინტერესო იყო ის, რომ გაუგებარი მიზეზის გამო, რატომღაც ჩვენს მიერ მიწოდებული მასალები ვერ გახსნეს, ვერ წაიკითხეს. ამას კიდევ ერთხელ მივაწვდით. ჩვენი ანგარიში ნანახი ჰქონდათ, თუმცა ის მასალები, რომელიც ჩვენ მამხილებელმა გადმოგვცა და პროკურატურას გადავეცით, ნანახი არ ჰქონდათ, – განაცხადა გიორგი ონიანმა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ იურისტის, ივანე ჩიტაშვილის თქმით, მას იმედი აქვს, რომ არჩევნების გაყალბებასთან დაკავშირებით პროკურატურა გამოძიების დაიწყებს, თუმცა ეს აუცილებლად სწორი კვალიფიკაციით უნდა მოხდეს.

– გამოძიების დაწყება აუცილებლად სწორი კვალიფიკაციით უნდა მოხდეს. პირველ რიგში, საგამოძიებო ორგანო ამ მასალებთან დაკავშირებით სავარაუდო დანაშაულებით უნდა დაინტერესდეს. რაც შეეხება სავარაუდო დანაშაულებს – ეს შეიძლება იყოს, როგორც ამომრჩევლის მოსყიდვა, ასევე უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, – განაცხადა ივანე ჩიტაშვილმა.

შეგახსენებთ, „სამართლიანი არჩევნებისა“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წარმომადგენლებმა, სუს-ის უფროსის ყოფილი მოადგილის, სოსო გოგაშვილის მიერ გადაცემულ დოკუმენტებზე დაყრდნობით მომზადებული „ამომრჩევლის მოსყიდვისა და უკანონო მობილიზების აპრობირებული მეთოდების შესახებ“ კვლევის შედეგები 21 ივლისს გაავრცელეს.

არასამთავრობოების ინფორმაციით, კვლევის საფუძველზე მმართველი პარტიის სასარგებლოდ არაკანონიერი გზებით ამომრჩევლის ხმების მობილიზების მასშტაბური სქემა გამოიკვეთა, რომლითაც მაღალი ალბათობით, სახელმწიფო უწყებების, მათ შორის, სამართალდამცავი ორგანოების საარჩევნო/პარტიული მიზნებით გამოყენება დასტურდება.

არასამთავრობო ორგანიზაციების ინფორმაციით, ამ უწყებების მეშვეობით სავარაუდოდ, საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომელთა და სხვა მოქალაქეების შესახებ, სავარაუდოდ, მომავალში მათზე ზეწოლის მიზნით, პერსონალური ინფორმაცია გროვდებოდა.

არასამთავრობოებმა დოკუმენტაცია გამოძიების დაწყების მოთხოვნით, პროკურატურაში წარადგინეს.

# თაღლითობისა და მითვისების ფაქტებზე 12 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტრომ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილ თაღლითობისა და მითვისების ფაქტებზე 12 პირი დააკავა, ხოლო 6 პირს ბრალი წარედგინა.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აღნიშნავენ, ბრალდებულებმა წინასწარი შეთანხმებით ერთმანეთზე გააფორმეს ლიზინგის ხელშეკრულებები, შეცდომაში შეიყვანეს სალიზინგო კომპანიის წარმომადგენლები, შემდეგ კი არც ერთი გადახდა არ განუხორციელებიათ კომპანიის მიმართ და არც მანქანები დაუბრუნებიათ სალიზინგო კომპანიისთვის.



„შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული აქტიური კომპლექსური საგამოძიებო მოქმედებებისა და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, თბილისში, იმერეთში, სამეგრელოში, გურიასა და აჭარის რეგიონში 12 პირი დააკავეს, ხოლო 6 პირს ბრალი წარედგინა.

წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილ თაღლითობის და მითვისების ფაქტებზე დაკავებული არიან: 1997 წელს დაბადებული თ.თ., 1987 წელს დაბადებული ა.ჩ., წარსულში ნასამართლევი 1976 წელს დაბადებული კ.დ., 1997 წელს დაბადებული ა.ფ., 1997 წელს დაბადებული ი.ჩ., წარსულში ნასამართლევი 1995 წელს დაბადებული ა.ს., 1992 წელს დაბადებული შ.შ., 1985 წელს დაბადებული გ.გ., წარსულში ნასამართლევი 1984 წელს დაბადებული უ.ბ., 1995 წელს დაბადებული ხ.კ., 1994 წელს დაბადებული ზ.ხ. და წარსულში ნასამართლევი 1996 წელს დაბადებული პ.მ.

ამავე ფაქტზე ბრალი დაუსწრებლად წარედგინათ: 1988 წელს დაბადებული ც.ნ., 1978 წელს დაბადებული თ.ქ., 1991 წელს დაბადებული თ.ჩ., 1972 წელს დაბადებული ქ.თ., 1984 წელს დაბადებული ი.თ. და 1990 წელს დაბადებული მ.თ.

დანაშაული 4-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა წინასწარი შეთანხმებით ერთმანეთზე გააფორმეს ლიზინგის ხელშეკრულებები, შეცდომაში შეიყვანეს სალიზინგო კომპანიის წარმომადგენლები, შემდეგ კი არც ერთი გადახდა არ განუხორციელებიათ კომპანიის მიმართ და არც მანქანები დაუბრუნებიათ სალიზინგო კომპანიისთვის.

ბრალდებულები, დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად, მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ 20-მდე ავტომანქანას, სალიზინგო კომპანიას კი 200 000 ლარამდე მატერიალური ზიანი მიაყენეს.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც გულისხმობს წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილ თაღლითობას და მითვისებას, რამაც დიდ ოდენობით ზიანი გამოიწვია“, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

# მოსმენების საქმეზე დაზარალებულად ცნობას კიდევ 19 ჟურნალისტი ითხოვს

უკანონო ფარული მოსმენა-მიყურადებისა და თვალთვალის ფაქტებთან დაკავშირებით დაზარალებულად ცნობას კიდევ 19 ჟურნალისტი ითხოვს. ინფორმაციას ამის შესახებ მედიაომბუდსმენი ავრცელებს.

მათივე ცნობით, ჟურნალისტთა უფლებების დამცველმა ორგანიზაციამ მედიაომბუდსმენმა თბილისის პროკურატურას განცხადებები უკვე წარუდგინა.

საქმე ეხება 2021 წლის 13 სექტემბერს გავრცელებულ მასალებს ე.წ. კრებსებს, რომლითაც სავარაუდოდ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ უკანონო ფარული მოსმენა-მიყურადებისა და თვალთვალის შესახებ დაახლოებით 58.000-მდე ფაილი გავრცელდა.

„ე.წ. კრებსები ჟურნალისტების, რელიგიურ ორგანიზაციათა წარმომადგენლების, პოლიტიკოსების, სამოქალაქო აქტივისტების, დიპლომატების და სხვა პირთა კერძო კომუნიკაციის და პირადი ცხოვრების შესახებ დეტალურად დამუშავებულ ინფორმაციას მოიცავს, რომლის ავთენტურობა უკვე არაერთმა ადამიანმა დაადასტურა. მათ შორის არიან განმცხადებლებიც:

ნინია კაკაბაძე – უფლებადამცველი, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს ყოფილი წევრი, დავით გამისონია – „რადიო თავისუფლება“, გელა მთივლიშვილი – „მთის ამბები“, თათია ხალიანი – ონლაინგამოცემა „პუბლიკა“, ლევან სუთიძე – ონლაინგამოცემა „ტაბულა“, მარიამ ლომაძე – ტელეკომპანია „კავკასია“, სალომე ჩადუნელი – ტელეკომპანია „ფორმულა“, გიორგი კიკაბიძე – ტელეკომპანია „ფორმულა“, ელისაბედ ციციშვილი – ტელეკომპანია „ფორმულა“, ლუკა ხაჩიძე – ტელეკომპანია „ფორმულა“, ნინო ვარძელაშვილი – ტელეკომპანია „ფორმულა“, გიორგი კვიჟინაძე – ტელეკომპანია „ფორმულა“, ნატა ქაჯაია – ტელეკომპანია „პირველი“, ნანუკა ქაჯაია – ტელეკომპანია „პირველი“, ვასილ დაბრუნდაშვილი – ტელეკომპანია „პირველი“, რუსუდან ჯაბანიშვილი – ტელეკომპანია „პირველი“, მაია მამულაშვილი – ტელეკომპანია „პირველი“, სესილი ბოკერია – ტელეკომპანია „პირველი“, ნატო გოგელია – ტელეკომპანია „პირველი“.



მანამდე, დაზარალებულად ცნობას 11 ჟურნალისტი ითხოვდა, აქედან 2022 წლის 12 ივლისს 10 ჟურნალისტის სახელით უკანონო ფარული მოსმენა-მიყურადების საქმეზე ევროპულ სასამართლოში საჩივარი გაიგზავნა.

ამჟამად ორგანიზაცია მოსმენების საქმეზე 30 ჟურნალისტს ეხმარება. საქმის წარმატებული წარმოება მედიის უფლებების დაცვის საქმეში მნიშვნელოვან ცვლილებებს გამოიწვევს და გახდება წინაპირობა, ფარული მოსმენა-მიყურადებისგან დაცვის კუთხით ძლიერი გარანტიები შეიქმნას, ჟურნალისტების პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვის ხარისხი და ჟურნალისტური წყაროების კონფიდენციალურობის სტანდარტი გამყარდეს. შესაბამისად, დაცული იქნება საზოგადოების უფლება, ხელისუფლების ჩარევის გარეშე, მისთვის სასურველი მედიასაშუალებიდან მიიღოს სანდო და ზუსტი ინფორმაცია.

მედიაომბუდსმენი უკანონო მოსმენებისა და თვალთვალის შემთხვევებთან დაკავშირებით მედიის დახმარებას აგრძელებს. მედიის წარმომადგენლებისთვის, რომლებიც უკანონო მოსმენა-მიყურადების მსხვერპლი აღმოჩნდნენ, მოქმედებს ცხელი ხაზზე: 555 795 776“, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

# „აუცილებლად ვიჩივლებ ივანიშვილის, გომელაურისა და კვირიკაშვილის წინააღმდეგ... სარჩელს ევროპაში შევიტან“

– აზერბაიჯანიდან მომაწოდეს ინფორმაცია, რომ ჩემი გატაცება პირადად ბიძინა ივანიშვილის დავალებით მოხდა. ჩემს გატაცებაში 4 უწყების: უსაფრთხოების სამსახურის, თავდაცვის სამინისტროს, სასაზღვრო და საბაჟო სამსახურის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ბიძინა ივანიშვილის ბრძანების გარეშე ეს არ მოხდებოდა. ადვოკატთან კონსულტაციების შემდეგ გადავწყვეტთ როგორ უნდა ვიმოქმედოთ. აუცილებლად ვეცდებით, რომ სოსო გოგაშვილმა ჩემი გატაცების საქმეზე პროკურატურას ჩვენება მისცეს.

ჩემი გატაცება პირადად ვახტანგ გომელაურმა დაგეგმა. ამის შესახებ იცოდა მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმაც. კამერის ჩანაწერები წაშალეს. აუცილებლად ვიჩივლებ ბიძინა ივანიშვილის, ვახტანგ გომელაურისა და გიორგი კვირიკაშვილის წინააღმდეგ. მათ პასუხი უნდა აგონ ჩადენილი დანაშაულისთვის.

არ მჯერა ქართული სასამართლოსი. სანამ ხელისუფლებაში ივანიშვილის გუნდია, სიმართლის დამტკიცება შეუძლებელია. ამიტომ სარჩელს ევროპაში შევიტან. ჩემი გატაცების გამო აზერბაიჯანულმა მხარემ საქართველოს უსაფრთხოების სამსახურს 3 მილიონი დოლარი გადაუხადეს. ამ შესახებ ინფორმაცია აზერბაიჯანიდან მომაწოდეს. ეს დადასტურებული ფაქტია, – ამბობს მუხთარლი.

# „საქმეს გრიფით საიდუმლო დაადო პიროვნებამ, რომელსაც გოგაშვილი ადანაშაულებს გადაცდომებზე და დანაშაულის ჩადენაშიც კი“ – ადვოკატი



სოსო გოგაშვილი რუსთავის მე-12 პენიტენციარულ დაწესებულებაში ადვოკატმა რამაზ ჩინჩალაძემ მოინახულა.

– საქმეს გრიფით საიდუმლო დაადო პიროვნებამ, რომელსაც იოსებ გოგაშვილი და მისი ოჯახის ადანაშაულებს კონკრეტულ გადაცდომებზე და დანაშაულის ჩადენაშიც კი. ეს გახლავთ ბატონი ღამბაშიძე. სწორედ მან გამოიტანა წერილობითი გადაწყვეტილება, საქმის მასალებს დასდებოდა გრიფით საიდუმლო. არ არსებობდა ამ საქმისთვის გრიფით საიდუმლოს დადების სამართლებრივი საფუძველი, თუმცა, ვფიქრობ, რომ ის დარღვევები რომ არ გამოტანილიყო სააშკარაოზე, რომლებიც არსებობს იოსებ გოგაშვილის დაკავებასა და წარდგენილ ბრალდებებთან დაკავშირებით, სწორედ ამიტომ მოხდა სრულად საქმის გრიფირება, – ამბობს რამაზ ჩინჩალაძე.

ამასთან, ადვოკატის თქმით, სოსო გოგაშვილი აცხადებს, რომ აქვს ყველა მტკიცებულება, რომლებიც მის მიერ გაჟღერებულ ბრალდებებს ადასტურებს.

– ნებისმიერ საქმეზე, რაც გაჟღერებულია მის მიერ, დამიდასტურა მზადყოფნა, რომ სახალხო დამცველს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და პროკურატურას მიაწოდოს ინფორმაცია ამომწურავად და დეტალურად. ჩემთვის უცნობია კონკრეტული მტკიცებულებები, თუ რით შეიძლება ამ ფაქტების დადასტურება. მე არ ვარ საქმის კურსში, როდის რა განცხადება გამოქვეყნდება და რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით ხდება აღნიშნული დოკუმენტების გამოქვეყნება, – თქვა უფლებადამცველმა.

# ავარია კოდა–თბილისის გზაზე

კოდა-თბილისის გზაზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა.

არსებული ინფორმაციით, ერთმანეთს ორი ავტოსატრანსპორტო საშუალება შეეჯახა.

გავრცელებული ცნობით, შემთხვევის შედეგად რამდენიმე ადამიანი დაშავდა, რომლებიც სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს.

# ბათუმში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 21 წლის ბიჭი დაიღუპა




ბათუმში თოდოგაურის დასახლებაში, ავტოსაგზაო შემთხვევას 21 წლის ბიჭის სიცოცხლე ემსხვერპლა.

როგორც ადგილობრივებმა განაცხადეს, ერთმანეთს ორი მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა. შემთხვევა 25 ივლისს მოხდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ფაქტზე გამოძიება „სისხლის სამართლის კოდექსის“ 276-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სატრანსპორტო მოძრაობისას წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

# 2-თვიანი მცდელობის შემდეგ პოლონეთში მოკლული ქალის შვილები საქართველოში ჩამოიყვანეს

პოლონეთში ქმრის მიერ მოკლული 24 წლის როზეტა ყალიჩავას სამი მცირეწლოვანი შვილი საქართველოში ჩამოიყვანეს. ამ დროისთვის ისინი უკვე ზუგდიდის რაიონში, სოფელ დარჩელში, ოჯახში იმყოფებიან. ცნობილია, რომ ბავშვებს მეურვეობას დეიდა, ბიძა და ბებია გაუწევენ.

ოჯახი ამბობს, რომ ბავშვების საქართველოში ჩამოყვანაში მათ პოლონეთის ხელისუფლება, საქართველოს საელჩო პოლონეთში და არასამთავრობო ორგანიზაცია „საფარი“ დაეხმარნენ.

ცნობისთვის, სამი შვილის დედა საკუთარმა ქმარმა 25 მაისს მოკლა, კვალის დაფარვის მიზნით კი ბინას ცეცხლი წაუკიდა. ახალგაზრდა ქალის მკვლელობაში ბრალდებული დაკავებულია.

# რუსეთში აფხაზი „კანონიერი ქურდი“ ალხას გუდაუტსკი გარდაიცვალა

რუსეთში, ქალაქ ვლადიმირის საავადმყოფოში 51 წლის აფხაზი „კანონიერი ქურდი“ ალხას აგრბა (ალხას გუდაუტსკი) გარდაიცვალა. გარდაცვალების მიზეზი ღვიძლის ქრონიკული ციროზის გართულებაა.

ალხას აგრბას 2021 წლის 8 დეკემბერს ვლადიმირის რაიონულმა სასამართლომ 10 წელი მიუსაჯა ე.წ. ქურდის სტატუსისთვის, რომლის ფლობაც მან არ უარყო.

# ბორის ჯონსონი, შესაძლოა, ნატო-ს გენერალური მდივანი გახდეს



დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ბორის ჯონსონი, რომელიც თანამდებობას მალე დატოვებს, შესაძლოა, ნატო-ს შემდეგი გენერალური მდივანი გახდეს.

ამ ინფორმაციას ბრიტანული გამოცემა ტელეგრაფი ავრცელებს.

გამოცემა წერს, რომ მას შემდეგ, რაც ჯონსონი პრემიერ-მინისტრის პოსტს დატოვებს, ნაკლებად სავარაუდოა, რომ დარჩეს მაღალი თანამდებობის გარეშე, განსაკუთრებით უკრაინის მიმართ მისი ძლიერი მხარდაჭერის ფონზე, რომელმაც აჩვენა პოლიტიკოსის ძლიერი ლიდერული თვისებები.

ტელეგრაფის მიხედვით, ჯონსონის წარდგენას ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივნის პოსტზე კანდიდატად მხარს უჭერენ თავდაცვის კომიტეტის წევრები რიჩარდ დრაქსი და მარკ ფრანსუა.

ცნობისთვის, ჩრდილოატლანტიკურ ორგანიზაციას ამჟამად იენს სტოლტენბერგი ხელმძღვანელობს. ის ამ თანამდებობაზე 2014 წელს დაინიშნა 5 წლის ვადით, თუმცა 2019 წელს მანდატი 2022 წლის ოქტომბრამდე გაუგრძელდა.

24 მარტს, უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ფედერაციის სრულმასშტაბიანი ომის გამო, ნატოს წევრმა ქვეყნებმა გადაწყვიტეს, რომ სტოლტენბერგი თანამდებობაზე 2023 წლის 30 სექტემბრამდე დარჩება.

# რუსეთი აფრიკასთან მუშაობს



დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრო უკრაინაში არსებული ვითარების შესახებ უახლეს სადაზვერვო ინფორმაციას ავრცელებს, სადაც აღნიშნულია, რომ რუსულმა კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერმა“, სავარაუდოდ, ტაქტიკური წინსვლა მოახერხა დონბასში ვუჰლეჰირსკის ელექტროსადგურისა და სოფელ ნოვოლუჰანსკეს მიმდებარედ.

გაერთიანებული სამეფოს დაზვერვის თქმით, უკრაინული ძალების ნაწილი, სავარაუდოდ, აღნიშნული ტერიტორიიდან გავიდა.

„რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვს ამჟამად ვიზიტები აქვს ეგვიპტეში, ეთიოპიაში, უგანდასა და კონგოს რესპუბლიკაში. დიდი ალბათობით, რუსეთი შეეცდება, ეს ვიზიტები დასავლეთის საერთაშორისო სასურსათო კრიზისში დასადანაშაულებლად გამოიყენოს“, – ნათქვამია ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის ანგარიშში.

დაზვერვა ვარაუდობს, რომ ოფიციალური მოსკოვი აფრიკული სახელმწიფოების მხარდაჭერის მოპოვებას ეცდება, რომლებიც სხვა მხრივ ნეიტრალურად რჩებოდნენ რუსეთის უკრაინაში შეჭრასთან დაკავშირებით.

ამასთან, დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო ანგარიშში აღნიშნულია, რომ 2014 წლიდან მოყოლებული, რუსეთმა მნიშვნელოვანი ძალისხმევა გაიღო აფრიკის მასშტაბით გავლენის უზრუნველსაყოფად.

„რუსეთი, ალბათ, უპირველეს ყოვლისა, აფრიკასთან მუშაობს, რადგან თვლის, რომ ეს გააძლიერებს „დიდი ძალის“ იდენტობას, რომლისკენაც რუსეთი ისწრაფვის. მისი მეორეხარისხოვანი მიზნები, ალბათ, არის პროდუქტზე დათმობების უზრუნველყოფა და აფრიკის სახელმწიფოების დარწმუნება, რომ საერთაშორისო ფორუმებზე მათ ხმა მისცენ რუსეთის ინტერესების შესაბამისად“, – აღნიშნულია ბრიტანეთის დაზვერვის ანგარიშში.

# ფილიპინებზე 7.1 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა, დაიღუპა, სულ მცირე, 2 ადამიანი




ფილიპინების კუნძულ ლუზონზე 7.1 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა. სტიქიური უბედურება ადგილობრივი დროით 08:43-ზე დაფიქსირდა.

ამერიკის შეერთებული შტატების გეოლოგიური სამსახურის ინფორმაციით, მიწისძვრამ ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში შენობების დაზიანება და მეწყერი გამოიწვია.

მიწისძვრის ძლიერი ბიძგები იგრძნობოდა დედაქალაქ მანილაშიც.

ABCnews-ის ინფორმაციით, სტიქიურ უბედურებას, სულ მცირე, 2 ადამიანი ემსხვერპლა, ათობით კი დაშავდა.

# დუდა: „პოლონეთი და ლიეტუვა არ შეამცირებენ აქტივობას უკრაინაში“



პოლონეთისა და ლიეტუვის პრეზიდენტები უკრაინაში ჩასვლას კვლავ გეგმავენ.

ამის შესახებ პოლონეთის ლიდერმა „ტვიტერის“ საკუთარ გვერდზე დაწერა.

„ორდღიანი უაღრესად ღირებული საუბრები მქონდა ლიეტუვის პრეზიდენტ გიტანას ნაუსედასთან. ჩვენი ქვეყნები არ შეამცირებენ აქტივობას უკრაინაში, ორივენი ვგეგმავთ ახალ ვიზიტებს კიევში. ჩვენ არ დავნებდებით რუსეთის შანტაჟს“, – განაცხადა პოლონეთის პრეზიდენტმა ანჯეი დუდამ ტვიტერის საკუთარ გვერდზე.

# ზელენსკი: „ჩვენ შეგვიძლია შევაჩეროთ ნებისმიერი ბოროტება“

– ჩემთვის უდიდესი პატივია დღეს „უინსტონ ჩერჩილის ლიდერობის ჯილდოს“ მიღება, – ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა.

მისი თქმით, ამ ჯილდოს მიღება შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა მთელი უკრაინელი ხალხი, რომელიც ტირანიისგან თავისუფლების დასაცავად წამოდგა.

– უკრაინასა და მთელ ევროპას ყოველთვის ემახსოვრება ისინი, ვინც უყოყმანოდ დაეხმარა ჩვენს ხალხსა და თავისუფლების იდეას. მსოფლიოს დემოკრატიებს შეუძლიათ შეაჩერონ ნებისმიერი ტირანია. ჩვენ შეგვიძლია შევაჩეროთ ნებისმიერი ბოროტება, რომელიც საფრთხეს უქმნის ჩვენს თავისუფლებას. ამისთვის მხოლოდ მთელი თავისუფალი სამყაროს ერთობლივი ლიდერობა შეიძლება იყოს საკმარისი, – აღნიშნა ზელენსკიმ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## კალეიდოსკოპი

### მოზარდი ზვიგენს შეებრძოლა და დაამარცხა



აშშ-ში 16 წლის მოზარდი შეებრძოლა ზვიგენს, რომელიც მას თავს დაესხა და მისი მოგერიება შეძლო.

აღნიშნული ინციდენტი ნიუ-იორკის შტატში ლონგ-აილენდის სანაპიროსთან ოთხშაბათს, 20 ივლისს მოხდა. მაქს ჰეინსი სერფინგის დაფით სრიალებდა, როდესაც თავს დაახლოებით 180 სანტიმეტრი სიგრძის მტაცებელი თევზი დაესხა.

– ისეთი შეგრძნება დამეუფლა, რომ თითქოს ჩემი ფეხი ხაფანგში აღმოჩნდა, – იხსენებს მოზარდი.

მან ზვიგენს მთელი ძალით დაუშინა მეორე ფეხი. ჰეინსის და მტაცებელი თევზის ორთაბრძოლა რამდენიმე წამს გაგრძელდა და მოზარდის გამარჯვებით დასრულდა. ზვიგენმა მსხვერპლს თავი ანება, ჰეინსმა კი, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ნაპირისკენ გაცურა.

ჰეინსმა აღნიშნული ინციდენტის შედეგად ტერფზე სერიოზული დაზიანება მიიღო და ის საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი, სადაც მას სათანადო სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს.

ალსანიშნავია, რომ 30 ივნისიდან მოყოლებული, ეს ადამიანზე ზვიგენის მეექვსე თავდასხმაა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სპორტი

# 18 წლამდე ნაკრები ელიტაში აღსაზევებლად იბრძოლებს



29 ივლისს რუმინეთის ქალაქ პლოეშტში ევროპის 18-წლამდელთა ჩემპიონატის ბ დივიზიონი იწყება, რომელშიც საქართველოს ნაკრები მიიღებს მონაწილეობას. ტურნირში მთლიანობაში 22 ქვეყნის ნაკრები მონაწილეობს, რომელთაგან 3 საუკეთესო ელიტარული, ა დივიზიონის საგზურს მოიპოვებს.

საქართველოს ნაკრებს დავით როგავა წვრთნის, რომელსაც ასისტენტობას კახა ტომარაძე უწევს. ჩვენი გუნდი ბ ჯგუფში მოხვდა, სადაც მეტოქეებად ნიდერლანდები, ბოსნია, ბულგარეთი, ნორვეგია და კოსოვო ეყოლება.

ჩვენი ნაკრები უკვე რუმინეთშია და პირველი ვარჯიშიც ჩაატარა. შემადგენლობის მხრივ, როგავას გუნდს ჯგუფიდან გასვლა არ უნდა გაუჭირდეს და იმ სამეულში მოსახვედრად უნდა იბრძოლოს, რომელიც ა დივიზიონში დაწინაურდება.

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე სათამაშოდ ამ შემადგენლობით გაემგზავრა:

გიორგი ოჩხიკიძე, ვატო გაჩეჩილაძე, ანდრია მუჯირი, ლუკა ალავიძე, თენგო გოგიშვილი, გიორგი სულაბერიძე, ლუკა ლომთაძე, გუგა ნაცვლიშვილი, ანდრია ცერცვაძე, სანდრო კასაბური, ლუკა კუჭუხიძე, ანრი ბელთაძე.

**ნაკრების თამაშების კალენდარი კი ასე გამოიყურება:**

**29 ივლისი:** კოსოვო-საქართველო;
**30 ივლისი:** საქართველო-ნორვეგია;
**31 ივლისი:** ბულგარეთი-საქართველო;
**1 აგვისტო:** საქართველო-ბოსნია;
**3 აგვისტო:** ნიდერლანდები-საქართველო.

# ქვიშის ფეხბურთის ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონს იწყებს



27-31 ივლისს კიშინიოვში საქართველოს ქვიშის ფეხბურთის ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონის მატჩებს გამართავს.

ჯგუფურ ეტაპზე საქართველოს ქვიშის ფეხბურთის ნაკრები საბერძნეთს, ყაზახეთსა და ნორვეგიას დაუპირისპირდება.

ბ დივიზიონის გათამაშებაში 12 გუნდი მონაწილეობს, რომლებიც 3 ოთხგუნდიან ჯგუფში გადანაწილდნენ. ნახევარფინალისა და, შესაბამისად, ა დივიზიონის საგზურს, ჯგუფების გამარჯვებულებთან ერთად, ერთი საუკეთესო მეორეადგილოსანი მიიღებს.

საქართველოს ქვიშის ფეხბურთის ნაკრების შემადგენლობა ასეთია:

მეკარე: ხვიჩა მახარაძე, ზურაბ ბორჩაშვილი;

წინა ხაზი: კახი თოდაძე, ლევან ფარტენაძე, გიორგი ჟორდანია, სპარტაკ ლომიძე, მალხაზ შამილაძე, გოჩა მახარაძე, ზურაბ შამილაძე, დავით ჯალაღანია, გიორგი დიაკვნიშვილი.

# რაგბი ევროპამ რუსეთი მოკვეთა და ფორმატს ცვლის



რაგბი ევროპამ მიიღო გადაწყვეტილება და რუსეთის რაგბის ნაკრები მათ მიერ ორგანიზებულ ჩემპიონატში მონაწილეობას ვერ მიიღებს. რუსეთი საერთაშორისო ტურნირებს მინიმუმ მომავალ სეზონშიც ჩამოშორებულია.

რაგბი ევროპამ ოფიციალურად ისიც დაადასტურა, რომ 2023 წლიდან რაგბი ევროპის ჩემპიონატში ექვსის ნაცვლად რვა ნაკრები ითამაშებს.

საქართველოს, ესპანეთს, რუმინეთს, პორტუგალიასა და ნიდერლანდებს, რომლებიც წელს რაგბი ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობდნენ, გაისად რაგბი ევროპის ტროფეიდან გამარჯვებული ბელგია, მეორეადგილოსანი პოლონეთი და მესამეადგილოსანი გერმანია დაემატებიან.

ახალი გათამაშების ფორმატი უახლოეს პერიოდში იქნება დამტკიცებული. არის ორი ვარიანტი: ერთი ჯგუფი და ამ შემთხვევაში გუნდებს შვიდი მატჩის ჩატარება მოუწევთ; ან ორი ოთხგუნდიანი ჯგუფი, რომლის 1-2-ადგილოსნები ნახევარფინალებსა და ფინალს ითამაშებენ; ამ შემთხვევაში გუნდები ისევ 5-5 მატჩს ჩაატარებენ.

შეგახსენებთ, რომ რაგბი ევროპის ჩემპიონატში საქართველოს ნაკრებმა ბოლო ხუთი ტურნირი მოიგო, ხოლო ბოლო 15 გათამაშებიდან – 13. სულ კი „ბორჯღალოსნებს“ რაგბი ევროპა, რომელიც სხვადასხვა სახელით იწოდებოდა, 14-ჯერ აქვთ მოგებული.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## კალეიდოსკოპი

### გიენებმა დედა-შვილი დაასახიჩრეს



ზიმბაბვეში გიენების ხროვა თავს დაესხა ოჯახს, ქალს ხელები მოაგლიჯე, ხოლო მის შვილს თითები მოაჭამეს.

აღნიშნული ინციდენტი მასვინგოს პროვინციის ზაკას რაიონში მოხდა. გიენები მუჩიანუ მუნოდასა და მის ქმარს რვატივენგა მუროის იმ დროს დაესხნენ თავს, როდესაც ისინი შეეცადნენ, მტაცებლები მათი სახლის გვერდით მდებარე საქონლის სადგომიდან გაეყარათ. ხმაურზე მათმა შვილმა რობერტ მუროიმ მოირბინა, რომელსაც ხელში ჩირაღდანი ეჭირა. გიენებმა მასაც შეუტიეს.

სამივე დაშავებული ადგილობრივ საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი, მაგრამ დაზიანებები იმდენად სერიოზული აღმოჩნდა, რომ ექიმებმა მათი ქალაქ მასვინგოს საქალაქო საავადმყოფოში გადაყვანა გადაწყვიტეს. ქალს ხელებზე იმდენად მძიმე დაზიანებები ჰქონდა მიყენებული, რომ ექიმები იძულებულნი გახდნენ, მათი ამპუტაციის ოპერაცია გაეკეთებინათ. ასევე მძიმე მდგომარეობაში იმყოფება მისი მეუღლე, ხოლო მათმა შვილმა ხელებზე ყველა თითი დაკარგა.

### სიცხისგან შეწუხებულმა მოსახლეობამ ბაყაყები დააქორწინა და წვიმა გამოიწვია



ინდოეთის უტარ-პრადეშის შტატის ქალაქ გორაკხპურში მოსახლეობამ ორი ბაყაყის ქორწილი მოაწყო.

ძლიერი სიცხისა და გვალვის გამო მოსახლეობამ გადაწყვიტა, ჩაეტარებინა რიტუალი, რათა ამით წვიმის ღმერთი ინდრუ მოემადლიერებინათ. რიტუალის დროს მათ ორი ბაყაყი იპოვეს და დააქორწინეს.

– ეს დროის მიერ გამოცდილი რიტუალია, რომ ბაყაყების დაქორწინებას წვიმა მოჰყავს, – განმარტა ღონისძიების ორგანიზატორმა რადხაკანტ ვერმა, – ჩვენ დიდხანს ვიტანჯებოდით გვალვისგან, განსაკუთრებით კი – ფერმერები.

რიტუალის ჩატარების მეორე დღეს მეტეოროლოგიურმა სამსახურმა მოსახლეობა გააფრთხილა, რომ ქვეყნის რამდენიმე რეგიონში ძლიერი წვიმებია მოსალოდნელი, მათ შორის გორაკხპურშიც.

### ქალმა ლატარიაში ჯეკპოტი დედის რჩევის წყალობით მოხსნა




ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინას შტატის ქალაქ მოქსვილის მცხოვრებმა ლატარიაში ჯეკპოტი მოხსნა და გამდიდრდა მას შემდეგ, რაც დედის რჩევას ყური უგდო.

55 წლის ჯინა დილარდს დედამ ურჩია ჩრდილოეთ კაროლინას საგანმანათლებლო ლატარიის ბილეთი შეეძინა. მანამდე მას ეს არასოდეს გაუკეთებია. ქალმა დედას დაუჯერა, პროდუქტების მაღაზიაში შევიდა და ხუთდოლარიანი ლატარიის ბილეთი იყიდა. ბილეთი მომგებიანი აღმოჩნდა და მან ქალს 254,9 ათასი დოლარი მოუტანა.

– ასეთ რამეზე ვერც კი ვიოცნებებდი, – აღიარა დილარდმა, რომელმაც იქვე დაამატა, რომ მოგების შემდეგ, მღელვარებისგან მთელი ღამე თვალი ვერ მოხუჭა.

ქალი მოგებული თანხის ნაწილით სახლის და ავტომობილის დავალიანების დაფარვას გეგმავს, ხოლო დარჩენილ თანხას სამომავლოდ გადადებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# საბურთალოს შანსი — რუმინულ გუნდში ცვლილებებია

თბილისის საბურთალო რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში ჩავიდა და დღეს კონფერენს ლიგის მე-2 წრის განმეორებით მატჩს სტიაუასთან გამართავს.



შეგახსენებთ, რომ ერთი კვირის წინ ლაშა ნოზაძის კრებულმა რუმინული გუნდი ლევან ნონიკაშვილის გოლის წყალობით 1:0 დაამარცხა და ახლა საპასუხო შეხვედრის მოლოდინშია.

კლუბის პრესსამსახურის ცნობით, რუმინეთის დედაქალაქში ძალიან ცხელა და სუნთქვა ჭირს. თუმცა, ადგილობრივები ამბობენ, რომ 28 ივლისს, შესაძლოა, იწვიმოს და ამ ფაქტორმა ფეხბურთელებს ერთგვარი შვება მისცეს.

სტიაუას სტადიონი 55.600 გულშემატკივარს იტევს და სრულ ანშლაგს ელოდებიან.

მეტოქის ბანაკში მთავარი ამბავი ისაა, რომ მთავარი მწვრთნელის თანამდებობა დატოვა ანტონ პეტრეამ, რომელმაც თბილისში გამართულ მატჩში უთავკაცა გუნდს. როგორც გაირკვა, ამიერიდან მთავარი მწვრთნელის მოვალეობას ნიკოლაე დიკა შეასრულებს, რომელიც სტიაუაში უცხო არაა, რადგან წლების წინ სწორედ ამ კლუბის ღირსებას იცავდა, 2017-18 წლებში კი სამწვრთნელო შტაბში იყო.

ხელმეორედ დაბრუნების წინ დიკამ კლუბის პრეზიდენტ ჯიჯი ბეკალის გარანტია მოსთხოვა, რომ მინიმუმ ახალ წლამდე მის საქმიანობაში არ ჩაერევა და კარისკენ არ მიუთითებს. რუმინული მედიის ცნობით, ბეკალიმ პირობა მისცა, მაგრამ ასევე გაიხსენეს, რომ იგივე გარანტია პეტრეასაც მისცეს, მაგრამ, იძულებული გახდა, გადამდგარიყო.

სტიაუას გენერალურმა დირექტორმა მიხაი სტოიკამ დიკა შეაქო და აღნიშნა, რომ 2018 წლის შემდეგ ნიკოლაე, როგორც სპეციალისტი, გაიზარდა, უფრო თვითდაჯერებული გახდა, ცოტას ლაპარაკობს, კონკრეტული ამოცანები გააჩნია, სათამაშო სისტემას შეცვლის და მისი ეიმედება.

სტოიკას თქმით, მწვრთნელის ცვლილება რთულ მომენტში მოხდა, არ იცის, ეს როგორ იმოქმედებს გუნდზე საბურთალოსთან დაპირისპირების წინ, მაგრამ პეტრეას წასვლა კარგია, რამეთუ ახალ მწვრთნელს გუნდში ყოველთვის ახალი იდეები მოაქვს.

28 ივლისს მატჩი, რომელიც ბუქარესტის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართება, საქართველოს დროით 21:30 საათზე დაიწყება.

# მერსისაიდულმა მედიამ ფაბიო კაპელოს გამონათქვამი შეაფასა

ქართველი ფეხბურთელის ხვიჩა კვარაცხელიას სახელი იტალიასაც გასცდა. მას შემდეგ, რაც ჩვენებური ცნობილმა იტალიელმა მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ ლივერპულელ მოჰამედ სალაჰს შეადარა, კვარაზე ვრცელი წერილი მერსისაიდულმა ვებგვერდმაც გამოაქვეყნა.



— მოჰამედ სალაჰის ახალი კონტრაქტის (რომლის ღირებულება კვირაში 350.000 გირვანქა სტერლინგია) ხანგრძლივობა საკმაოდ ლოგიკურია. ეგვიპტელმა ხელშეკრულება 3 წლით გააფორმა. მო 2025 წელს 33 წლის იქნება და მისი უფასოდ დაკარგვის პერსპექტივა არც ისე ტრაგიკულად მოგვეჩვენება, როგორც ახლა გვეჩვენებოდა.

ალბათ, „ენფილდის" ლეგენდასთან დასამშვიდობებლად და მისი შემცვლელის მოსაყვანად, ოპტიმალური მომენტი იქნება. სალაჰის მნიშვნელობის გათვალისწინებით, ეს პროცესი უკვე მიმდინარეობდეს.

ახალი გარემარბი მოჰამედისგან დიდად არ უნდა განსხვავდებოდეს, რადგან იურგენ კლოპს ლივერპულთან კონტრაქტი 2026 წლამდე აკავშირებს და იმ ფილოსოფიას ამკვიდრებს, რომელიც მისი წასვლის შემდეგაც დარჩება.

მაშ, თუ ლივერპულს მსგავსი პროფილის ფეხბურთელი სურს, ვისით უნდა დაინტერესდნენ ისინი?

ერთ-ერთი კანდიდატი ხვიჩა კვარაცხელიაა, რომელიც ახლა 21 წლისაა, მაგრამ სალაჰის წასვლის დროს 24 წლის იქნება.

კვარაცხელიამ მილანის, იუვენტუსისა და, რა თქმა უნდა, ინგლისის ნაკრების ყოფილი თავკაცის, ფაბიო კაპელოს ყურადღება უკვე მიიქცია. კაპელომ თქვა, რომ კვარა მოძრაობებით ახალგაზრდა სალაჰს აგონებს.

ვინ არის კვარაცხელია და რას ემყარება კაპელოს შეხედულება?

ერთი შეხედვით, შედარება არაზუსტი ჩანს. კვარაცხელიამ თავისი კარიერის უმეტესი ნაწილი მარცხენა ფრთაზე ითამაშა და არა მარჯვენაზე. მიუხედავად ამისა, მას 2-ვე ფეხით მოთამაშედ რაცხავენ. რაც ნიშნავს, რომ თუ საჭირო გახდება, საპირისპირო ფლანგზეც ითამაშებს და ეფექტური. კარიერაში კი მარჯვენა ფრთაზე სულ 14 მატჩი აქვს ნათამაშები.

კვარაცხელია იტალიურ ნაპოლის ბათუმის დინამოდან 9 მილიონ გირვანქად ახლახანს შეუერთდა. მანამდე რუსეთის პრემიერ ლიგაში, ყაზანის რუბინში თამაშობდა, მაგრამ კლუბი მარტში დატოვა.

კვარაცხელიამ გასული სეზონის 33 მატჩში 10 გოლი გაიტანა და 7 საგოლე პასი გააკეთა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ 17 საგოლე კონტრიბუციიდან 10 საქართველოს ჩემპიონატზე მოდის, რომელიც ევროპაში სიძლიერით 47-ე ადგილზეა. მაშასადამე, ხვიჩას შესაძლებლობებისთვის შესაბამისი ტესტი არ არის.

მე-2 მხრივ, კვარაცხელიამ საქართველოს ნაკრებში გაიბრწყინა. ნაკრებში, რომელიც მსოფლიო რეიტინგში 82-ე ადგილზეა. ხვიჩამ საქართველოზე გაცილებით ძლიერი ნაკრებების წინააღმდეგ ითამაშა, გაუტანა რა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე შვედეთს, ესპანეთსა და საბერძნეთს. იგი თავისი ქვეყნის ისტორიაში საუკეთესოობას უმიზნებს.

ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც კვარაცხელიამ კაპელოს ყურადღება მიიქცია, მისი თამაშის სტილი გახლავთ. არ აქვს მნიშვნელობა, ვინ დგას მის წინაშე ან რამდენი მცველი აპირებს მის შეჩერებას და როდესაც ბურთს იღებს, მხოლოდ შეტევაზე ფიქრობს.

ეს აგრესიული დამოკიდებულება ძალიან ეფექტურია. ტალანტების სკაუტი იასეკ კულიგი ამბობს, კვარაცხელია ავლენს როგორც ელექტრულ სიჩქარესა და ასწრაფებას, ისევე დიდებულ ტექნიკასა და ბურთის კონტროლს.

ფრაზა „ახალგაზრდა სალაჰში" კაპელომ ალბათ იგულისხმა ფეხბურთელი, რომელიც 2014-15 წლების სეზონში, იტალიურ ფიორენტინაში ჩელსიმ გაანათხოვრა. ჩვენ შეგვიძლია მას 22 წლის კვარაცხელიას შედეგები შევადაროთ გასული სეზონის პრემიერ ლიგაში (როცა ის 21 წლის იყო).

სალაჰი უფრო ეფექტური იყო. მას 90 წუთში საშუალოდ 0.6 გოლი გაჰქონდა, რასაც კვარაცხელიას 0.2 გოლი ბევრით ჩამორჩება. ორივე ფეხბურთელი საშუალოდ 2.1-ჯერ ურტყამდა კარისკენ.

დუეტს ასისტებში ერთნაირი მაჩვენებელი აქვს (0.3), თუმცა სალაჰი გაცილებით უფრო მეტ შანსს ქმნიდა (3), ვიდრე კვარაცხელია (1.7).

კაპელოს შეხედულება ყველაზე მეტად დრიბლინგზე უნდა იყოს დამყარებული, რადგან აქ ფეხბურთელები ერთნაირ შედეგებს აფიქსირებდნენ. კვარაცხელია საშუალოდ 6.9 დრიბლინგს ახორციელებდა, რომელთაგან წარმატებული 3.3 იყო. მან ჩემპიონატში წარმატებული დრიბლინგებით მე-2 ადგილი დაიკავა. სალაჰს კიდევ უფრო კარგი შედეგი ჰქონდა როგორც დრიბლინგების რაოდენობაში (7.75), ასევე მის წარმატებაში (50.48%).

რა თქმა უნდა, სალაჰი მეტად ძლიერ მეტოქეებს უპირისპირდებოდა და სხვაობა იმაზე მეტი უნდა იყოს, ვიდრე რეალურად ჩანს, მაგრამ კაპელოს მოსაზრება ლოგიკისგან შორს მაინც არ დგას.

ნაპოლიში კვარაცხელიას განვითარება დამაინტრიგებელი იქნება. საინტერესოა, უფრო დაღვინდება თუ ფეთქებადობას შეინარჩუნებს.

კვარაცხელიამ უკვე მიიპყრო ტოტენჰემის ყურადღება. გასულ ზაფხულს ლონდონელები ხვიჩას ადამა ტრაორეს ალტერნატივად მიიჩნევდნენ. უნდა ვიფიქროთ, რომ ფეხბურთელი ლივერპულის რადარზეც იმყოფებოდა. სერია ა-მ შექმნა სალაჰი და, თუ კვარაცხელიას შემთხვევაშიც ასე მოხდება, ლივერპული მასზე უნდა დაფიქრდეს.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# ოლიმპიურ ფესტივალზე ქართული ოქროს გამორჩნდა

ბანსკა-ბისტრიცას (სლოვაკეთი) მე-16 ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მე-2 საშეჯიბრებო დღეს საქართველოს ნაკრების წევრებმა პირველი მედლები მოიპოვეს. წარმატებას მიაღწიეს ძიუდოისტმა – დავით ლომიტაშვილმა (55კგ) და დავით ქარელმა (60).

უმსუბუქეს, 55 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მოასპარეზე ქართველი ძიუდოისტი ასპარეზობას მეოთხედფინალიდან შეუდგა. წმინდად დაამარცხა მოლდაველი და ფრანგი მოწინააღმდეგეები, ფინალში კი აზერბაიჯანელ მურად ალიევს შეხვდა, რომელსაც ასევე იპონით მოუგო და ჩემპიონობა იზეიმა.

წარმატებას მიაღწია ქარელმაც. მომავალი მედალოსანი შეჯიბრებას მე-2 წრიდან შეუყვა: წმინდად აჯობა სომეხ და უკრაინელ თანატოლებს, მაგრამ ნახევარფინალში ნიდერლანდელ მოწინაალმდეგესთან დამარცხდა და ასპარეზობა რეპეშაჟში გააგრძელა. ქარელმა მე-3 ადგილის დაკავების შანსი წარმატებით გამოიყენა, ბრინჯაოს ფინალში იპონით დაამარცხა იტალიელი მანუელ პარლატი და კვარცხლბეკზე ავიდა.

ბრინჯაოს მედლის მოპოვების შანსი ჰქონდა ჯულიეტა როდონაიას (48), მაგრამ გადამწყვეტ შეხვედრაში ოქროს ქულით დამარცხდა ბრიტანელ მეტოქესთან.

სამწუხაროდ, მედლამდე სულ ცოტა დააკლდა ნოე ფანცხავას, რომელმაც 100 მეტრ გულაღმა ცურვაში მე-4 ადგილი დაიკავა.

ბადმინტონში 2 წაგებული შეხვედრის შემდეგ პირველი გამარჯვება მოიპოვა გიორგი მჟავიამ, რომელმაც ალბანელ მეტოქეს (21:10, 21:8 ) მოუგო. სამაგიეროდ, დამარცხდა მისი თანაგუნდელი ელისაბედ ზუმბულიძე.

ტანმოვარჯიშე დაჩი დოლიძე მრავალჭიდში 70.850 ქულით 57-ე იყო, ხოლო გეგა კასრაძემ დაგეგმილი პროგრამა შეასრულა – 3 იარაღზე იასპარეზა, მაგრამ კვალიფიკაცია ვერ გაიარა.

იასპარეზეს მძლეოსნებმაც: ლუკა ზანაძემ ბირთვის კვრაში 15,61 მეტრით მე-5 ადგილი დაიკავა, უროს ტყორცნაში ნოდარ კახელაშვილი (53,02) კი, მე-9 იყო, ხოლო ქეთევან მამალაძემ ბადროს ტყორცნაში 32,35 მეტრით საკუთარი შედეგი გააუმჯობესა, მაგრამ გამოსვლა მე-13 ადგილით დაასრულა.

იასპარეზეს ჩვენმა ველოსპორტსმენებმაც: ნიკოლოზ ცირეკიძემ 51-ე ადგილი დაიკავა, გიორგი მარსაგიშვილმა – 69-ე, ნიკა ფირანიშვილმა – 85-ე.

ჩოგბურთში პირველ წრეში ანასტასია პონომარიოვა/ნიკოლოზ გურგენიძის წყვილი 3:6, 2:6 დამარცხდა.

## შედეგები

**26 ივლისი**

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ლარნაკა-მიდტიულანდი | 1:1(3:4პ) |
| პლზენი-ჰიკი | 5:0 |
| შერიფი-მარიბორი | 1:0 |
| დუდელანჟი-პიუნიკი | 1:4 |
| შემროკი-ლუდოგორეცი | 2:1 |
| სკუპი-დინამო (ზ) | 0:1 |

**უეფას კონფერენს ლიგა**

| | |
|---|---|
| ლინკოლნი-ტობოლი | 0:1 |
| ტნს-რეიკიავიკი | 0:0 |
| ბალკანი-ლა ფიორტა | 6:0 |


## სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი" ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**


**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 — 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი; 2. არმიის, ფლოტის მეთაურთა შემადგენლობის პირი; 3. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 4. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 5. კროსვორდის გამომგონებელი; 9. საფრანგეთის ნაკრებისა და „ჩელსის" ფეხბურთელი; 10. შეხედულება, თვალსაზრისი, რომლითაც განიხილავენ საგნებს, მოვლენებს; 14. ოფიცერი, რომელიც განაგებს სამხედრო ნაწილის მომარაგებას სურსათით, ტანსაცმლითა და სხვა არასაბრძოლო ნივთებით; 15. ჯალათის სახელწოდება ძველად საქართველოში; 16. ღომში ჩაზელილი სულგუნით მომზადებული მეგრული კერძი; 19. კუნძულოვანი სახელმწიფო ინდოეთის ოკეანეში; 20. თვითმფრინავების სადგომი; 21. ერთი პროფესიის ხელოსანთა გაერთიანება ძველად საქართველოში.

**თარაზულად:** 6. საერთაშორისო ხელშეკრულების დაკანონება; 7. ატმოსფეროში სწრაფად მოძრავი გავარვარებული კოსმოსური სხეული; 8. დამოუკიდებელ ფერმერთა დასახლება ისრაელში; 11. ძველებური ქართული ვერცხლის ფული; 12. სპორტული სირბილი წინაღობათა გადალახვით; 13. რაიმე ნივთის მეორე ცალი მუზეუმში, კოლექციაში; 17. უბანი პარიზში; 18. მრავალი ენის მცოდნე ადამიანი; 22. ოქროს ფერში ამოვლებული ძაფი; 23. მარჯვე, გულადი, ყოჩაღი ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება; 23. პოლიციის განყოფილება იტალიაში; 25. ისტორიული ციხე-სიმაგრე ალგეთის ხეობაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. სოჭი; 2. ტანგო; 3. იტაიპუ; 5. პორშე; 6. ბოტიჩელი; 8. გრეიპფრუტი; 10. ევკომია; 12. ზინგერი; 14. უზანგი; 15. ვეძისი; 16. ზვარე.

**თარაზულად:** 1. სმალტა; 4. აპლომბი; 7. ხანუკა; 9. პერესი; 11. მეეზოვე; 12. ზაქათალა; 13. ვოლანი; 17. რუზინე; 18. კუბა; 19. კრიმინალი; 20. ციცერონი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ვალენსა; 2. აბატისა; 3. ალტიმეტრი; 4. დინასი; 5. გრივნა; 9. იურტა; 10. ომმეტრი; 14. ფორტეპიანო; 15. ხევსურეთი; 16. მტრედი; 19. ზოდიაქო; 20. კლოუნი; 21. ანკეტა.

**თარაზულად:** 6. ღარიბაშვილი; 7. მადიარი; 8. ბერეტა; 11. პუნსონი; 12. ოსუმი; 13. ატლანტა; 17. გეომეტრია; 18. ტიტესტერი; 22. ფლორიდა; 23. დანლოპი; 24. ექსპერტი; 25. სინკლიტი.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


28 ივლისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7791

ევრო — 2.8208

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3522

100 რუსული რუბლი — 4.5683

## ამინდის პროგნოზი 28 ივლისისათვის




## მბაპე: „პსჟ-ში ბედნიერი ვარ“



პსჟ-ს ფორვარდმა კილიან მბაპემ თავის მომავალზე ისაუბრა და თქვა, რომ ამ გუნდში ბედნიერია და შეეცდება, გულშემატკივარი გაახაროს, რადგან იცის, რომ მასზე ბევრი რამ არის დამოკიდებული:

— მომავალ სეზონში ჩვენ ვალდებული ვართ, გულშემატკივარს მივცეთ ის, რასაც ისინი დიდი ხანია ელიან და მოვიგოთ ჩემპიონთა ლიგა.

## დემბელე: „ვცდილობ, ოპტიმალურ ფორმაში ჩავდგე“



ბარსელონის ფრანგმა ფორვარდმა უსმან დემბელემ განაცხადა, რომ ყველაფერს აკეთებს, რათა ოპტიმალურ ფორმაში ჩადგეს და ამხანაგური შეხვედრები ამის კარგი საშუალებაა, რადგან ამ დროს ფეხბურთელები სეზონისთვის ემზადებიან:

— ბარსელონა ჯერ ოპტიმალურ ფორმაში არ არის. ამ მხრივ უნდა მოვუმატოთ და ეს მეც მეხება. მინდა, სეზონის დაწყებისთვის ყველანაირად მზად ვიყო.

## სპალეტი აქცენტის გაკეთებას კვარაცხელიაზე აპირებს



ნაპოლის მთავარი მწვრთნელი ლუჩანო სპალეტი მომავალ სეზონში ხვიჩა კვარაცხელიაზე აპირებს აქცენტის გაკეთებას, რადგან იტალიელი სპეციალისტი თვლის, რომ ხვიჩას გუნდის ლიდერობა შეუძლია. გარდა ამისა, იტალიურ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ კვარაცხელიას სპალეტისთან კარგი ურთიერთობა აქვს, ამიტომ სეზონს ხვიჩა ძირითად შემადგენლობაში დაიწყებს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

●●●

ცოლი ქმარს ურეკავს და ეკითხება:

— ძვირფასო, სად ხარ?

— სამსახურში.

— კი მაგრამ, იქ დავრეკე და მითხრეს აქ არ არისო!

— აჰ!... წამოვსულვარ უკვე...

●●●

ხანშიშესული მამაკაცი ახალგაზრდას ეუბნება:

— არასოდეს ეცადო იმის გაგებას, რისი გაგებაც არ შეგიძლია!

— ვერ გავიგე?

— ჰოდა, არც ეცადო!

●●●

ზოოპარკში შვილი მამას ეუბნება:

— მამიკო, რა საშინელი მაიმუნია ამ გალიაში!

— მოიცა, შვილო, ეს ჯერ სალაროა!

●●●

ცოლი ქმარს ურეკავს:

— ალო, ძვირფასო, სად ხარ?

— ტყეში!

— და მანდ რას აკეთებ?

— ვნადირობ!

— და მერე, საყვარელო, ასე რატომ სუნთქავ?

— დათვი მომდევს, დათვი!..

●●●

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

— ვაიმე, უკვე ღამის ორი საათია და ჩემი ქმარი არ ჩანს, საყვარელი ხომ არ გაიჩინა?

— შე ქალო, რა მაშინვე ყველაზე უარესს ფიქრობ? იქნებ ავარიაში მოყვა და ან საავადმყოფოში, ან „მორგშია“.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## „ვინ ვინ არის“ გამარჯვებული ალექსანდრე ბეგალიშვილი გახდა



ტელეკომპანია „იმედის“ ყველაზე გასაიდუმლოებული შოუს „ვინ ვინ არის“ გამარჯვებული ალექსანდრე ბეგალიშვილი გახდა.

ვასო აბაშიძის სახელობის ახალი თეატრის მსახიობმა დაძაბული საკონკურსო ტურები წარმატებით გაიარა და ფინალშიც სრულიად ღირსეულად მოხვდა.

შოუში მონაწილეობდნენ მსახიობები, მომღერლები, ჟურნალისტები. მათ სხვადასხვა პერსონაჟის ნიღბები მოირგეს და ჟიურისთან ერთად მაყურებლის დაბნევაც იდეალურად მოახერხეს.

გიგი დედალამაზიშვილი თოვლის გუნდის ნიღაბში იმალებოდა, მაია ჯაბუა — მზის, ნინო თოლორდავა — ვარდის, ეკა ჩხეიძე — ვეფხვის, ბაჩო ქაჯაია — ბომბორასი, დათო ფორჩხიძე — ტრანსფორმერის, მარიამ როინიშვილი — აქტრისა მარგარიტას, ნუცა ბუზალაძე — სარკის, ბესო კალანდაძე — ლომის, ანკა ვასაძე — არწივის, ლევან წულაძე — ძაღლი ბერნარის, ალექსანდრე ბეგალიშვილი კი — ბეჰემოთის.

ჟიურიმ ლიზა ბაგრატიონის, დავით დოიაშვილის, ანრი ჯოხაძისა და ნანიკო ხაზარაძის შემადგენლობით, ხანგრძლივი დაკვირვებებისა და სხვადასხვა პიროვნების დასახელების შემდეგ, კონკურსანტები გაცხრილა და ფინალში აქტრისა მარგარიტა, ტრანსფორმერი და ბეჰემოთი დატოვა.

ფინალში ბეჰემოთმა ოპერის მომღერალ ხათუნა კალმახელიძესთან ერთად დუეტში შეასრულა სიმღერა „ბარსელონა“ და ფრედი მერკურისა და მონსერატ კაბალიეს დუეტი გააცოცხლა.

მაყურებლისა და ჟიურის გადაწყვეტილებით, შოუს გამარჯვებული ბეჰემოთი — ალექსანდრე ბეგალიშვილი გახდა:

— პროექტი იყო ძალიან მაგარი, მაგრამ თვითკრიტიკული ვარ და მეშინოდა, უარზე ვიყავი თავიდან, თუმცა მერე იმდენად შევედი მუღამში და ეშხში, რომ ძალიან კარგი იყო.

ცოტა გამიჭირდა ამ საიდუმლოებების დაცვა, მაგრამ მგონია, რომ გამომივიდა. იმხელა ჯარიმები ეწერა კონტრაქტში, რომ სხვა გზა არ მქონდა, საიდუმლო კარგად უნდა შემენახა.

დოი ყოველ ტურზე ისე მანერვიულებდა, რომ მეგონა, გამაგდებდნენ, მაგრამ ბოლომდე მივედი. ყველაზე მაგარი იყო, თამრიკო ჭოხონელიძე რომ ვეგონე ჟიურის, მერე მანანა მენაბდეც გავხდი.

დიდი მადლობა ყველას, ვინც ამ შოუზე იმუშავა. ეს დღეები არასოდეს დამავიწყდება.

## ზურა ხაჩიძე: „ღამის პრაიმ ტაიმს“ ალარ წავიყვან!“



ეს განცხადება მომღერალმა, ჯგუფ „ქუჩის ბიჭების“ წევრმა ზურა ხაჩიძემ ინტერნეტით გაავრცელა:

— დიდი მადლობა „რუსთავი 2“-ს გამოცდილებისთვის და ძალიან კარგი მეგობრების შეძენისთვის!

ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე მინდა მოგახსენოთ, ჩემებო — მე გადაცემა „ღამის პრაიმ ტაიმს“ აღარ წავიყვან!

მადლობა ყველას, ვისთან ერთადაც ვიმუშავე ამ ერთი სეზონის განმავლობაში!

## კატო ჯავახიშვილი: „მოხუცმა ბებომ ხუთი კვერცხი მთხოვა“



პოეტი კატო ჯავახიშვილი ქვეყანაში არსებული უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობით შეშფოთებულია:

— მოხუცმა ბებომ, რომელიც აღმაშენებლის კარფურის წინ იდგა, ფული კი არა, ხუთი კვერცხი მთხოვა. აქამდე იქ არასდროს მინახავს. ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ რცხვენოდა, ხელები და ხმა ერთნაირად უკანკალებდა — მოწყალებას კი არა, ხუთ კვერცხს ითხოვდა.

დადიოდა უამრავი ტურისტი ირგვლივ, ეკონომიკის აღმასვლას ასე სამაგალითოდ რომ უწყობენ ხელს, კიდევ ადამიანები — ჩქარი, საქმიანი ნაბიჯებით. სანოვაგის სწრაფად ყიდვა და სახლში მიტანა — აი, რა იყო მათი მიზანი. დაღლილი ადამიანების სევდაა ეს, როგორმე შეასწრონ სახლში, როგორც ციხესიმაგრეში, ისე შეიბუდონ, რომ არაფერი დაინახონ, არაფერი გაიგონ, ცოტა ხნით არ მოშივდეთ.

ახალგაზრდებიც დადიოდნენ, ამ ქვეყნიდან წასასვლელ გზებსა და შესაძლებლობებს უზიარებდნენ ერთმანეთს, ფერადები, ჯერ კიდევ ციცინათელები რომ ჰყავთ თვალებში. ეს ციცინათელები რომ გადაარჩინონ, უნდა გაიქცნენ. ჩემოდნის ჩალაგების დროც არ არის, თორემ, ცოტაც და, ნიჰილიზმში ჩაძირულებს, უმომავლო სამშობლო ვალდებულებების მარწუხებში მოიმწყვდევს და მერე ყველაფერი გვიანი იქნება. მერე მხოლოდ სხვისი სამსახურის სანაცვლოდ აღებული გროშებით ბავშვების გამოკვება იქნება შესაძლებელი.

უამრავი ადამიანით სავსე ივლისის ქალაქი მკვდარი იყო. თითქოს თეატრის დეკორაციად ქცეულიყო სხვა დანარჩენი და იდგა მხოლოდ ბებო, ამ აბსურდულ სინამდვილეში, გაწყალებული სიტყვების ქვეყანაში იდგა და ხუთ კვერცხს მთხოვდა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ვაჟა აზარაშვილი 86 წლისაა



არაერთი ცნობილი სიმღერის ავტორი, კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი, 86 წლის გახდა.

თარიღები მისთვის უბრალოდ ციფრებია, რადგან კვლავაც ისევ ისე მხნედ გამოიყურება და აქტიურად მუშაობს. როგორც თავად ამბობს, სიმღერისა და მუსიკის გარეშე მისთვის ცხოვრება წარმოუდგენელია, ამიტომაც მუშაობა ხელოვანის ამოსავალი წერტილია.

„დინამო, დინამო!“, „წინ, ტორპედო!“, „გიხაროდეს, კაპიტან!“, „გურია“, „თბილისური ლირიკული“, „სიმღერა თბილისზე“, „სიმღერა მეტეხზე“, „თბილისელი გოგონები“, „ბალადა სიყვარულზე“, „მუსიკა“, „დღეები მიდიან“, „პატარა გოგო“, „მზე ჩემი მეგობარია“, „ისევ წვიმს“, „სიმღერაა მთელი ჩემი ქონება“, „სიზმარივით გამიფრინდნენ წლები“ — ეს იმ სიმღერების მცირედი ჩამონათვალია, რომლებიც იუბილარმა კომპოზიტორმა დაწერა და მსმენელმა სამუდამოდ შეიყვარა. მის სიმღერებს ასრულებდნენ ნანი ბრეგვაძე, გიული ჩოხელი, ვახტანგ კიკაბიძე, ეთერ კაკულია, თამარ გვერდწითელი, მერაბ სეფაშვილი, „ორერა“, „რერო“, „ივერია“, „თეატრონი“... ვაჟა აზარაშვილის შემოქმედება ჟანრობრივი მრავალფეროვნებითაა გამორჩეული — სიმფონიური, კამერულ-ინსტრუმენტული, მიუზიკლი და საესტრადო. მუსიკალური კომედიის ჟანრში მან შექმნა თავისი საუკეთესო მიუზიკლი „მეჩექმე გაბო“.

საესტრადო მუსიკის სფეროში მუშაობისას ქართული კლასიკური პოეზიიდან კომპოზიტორი ხშირად მიმართავს ნიკოლოზ ბარათაშვილის ქმნილებებს, ხოლო თანამედროვე პოეტებიდან — მორის ფოცხიშვილისა და პეტრე გრუზინსკის ლექსებს.

ვაჟა აზარაშვილის ნაწარმოებები ხშირად სრულდება როგორც საქართველოში, ისე უცხოეთის ქვეყნებში. გამოცემულია გრამფირფიტები და კომპაქტდისკები.

კომპოზიტორს ქართულ ხელოვნებაში შეტანილი წვლილისათვის მრავალი საპატიო წოდება და პრემია მიენიჭა, თუმცა მთავარი ჯილდო და პრემია მისთვის მსმენელის სიყვარულია.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



28 ივლისისათვის

**ვერძი** — დასვენება გჭირდებათ. ოჯახში მშვიდი ატმოსფეროა. ბავშვებთან ურთიერთობა სიამოვნებას მოგანიჭებთ. **კურო** — ფულს იოლად ნუ დახარჯავთ. მხოლოდ აუცილებელი ნივთი შეიძინეთ. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად კეთილისმყოფელი პერიოდია. **ტყუპები** — გარშემომყოფებთან ურთიერთობაში გაურკვევლობა და დაძაბულობა იჩენს თავს. ემოციები აკონტროლეთ და უტაქტო გამონათქვამებს ერიდეთ. **კირჩხიბი** — სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. დეპრესია გიტევთ, რომლის წამალიც მხოლოდ საქმეა. კარგი იქნება, თუ დაეხმარებით მათ, ვისაც ეს განსაკუთრებით სჭირდება. **ლომი** — საკუთარი ძალები ადეკვატურად შეაფასეთ. მეგობრებს თქვენს აზრს ნუ შემოახვევთ. **ქალწული** — ახალი ნაცნობობა სარგებლობას მოგიტანთ. ქალაქგარეთ გასვლა, ბაღში მუშაობა, მცირეოდენი ფიზიკური დატვირთვა თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე სასიკეთოდ აისახება. **სასწორი** — ნუ იაქტიურებთ. საამისოდ არც ენერგია გეყოფათ. აკეთეთ ის, რაც გსიამოვნებთ. **ღრიანკალი** — შესაფერისი დროა გარემოს შესაცვლელად და გასართობად. იზრუნეთ საკუთარ თავზე. **მშვილდოსანი** — ერიდეთ ხალხმრავლობას. გიჯობთ, განმარტოვდეთ, იკითხოთ წიგნები, უბრალოდ, დაისვენოთ ყოველდღიური ალიაქოთისაგან. **თხის რქა** — ირწმუნეთ საკუთარი ძალების. სხვის იმედზე ნუ იქნებით. თქვენი მომხიბვლელობა საოცრად იზრდება. **მერწყული** — უსიამოვნებას თავიდან მხოლოდ დაკვირვებულობა და შორსმჭვრეტელობა აგაცილებთ. სპონტანურ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. **თევზები** — ნუ იქნებით ზედმეტად მომთხოვნი და კატეგორიული. ფინანსებს გაუფრთხილდით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა




**შვეულად:** 1. მადნიდან ლითონის გამოდნობის შემდგომ დარჩენილი მყარი ნარჩენები; 2. ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 3. ღომში ჩახარშული სულგუნისგან მომზადებული მეგრული კერძი; 5. ჩამქრალი ვულკანი თრიალეთის ქედზე; 6. მამაკაცის დაბალყელიანი ფეხსაცმელი; 8. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 10. საყოველთაო ლოცვა დიდი რელიგიური დღესასწაულების დროს; 12. ღვინის ხის კასრების დამამზადებელი ოსტატი; 14. სვან მამაკაცთა ცეკვა; 15. საფარიკაო სპორტული იარაღი; 16. ნადირთა მფარველი ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში.

**თარაზულად:** 1. ცხარე ბოსტნეული; 4. კანიონი წალკის რაიონში; 7. ბასკური ხალხური თამაში ბურთით; 9. კურორტ იალტის ძველი სახელწოდება; 11. ჩრდილო ამერიკაში გავრცელებული გიგანტური წიწვოვანი ხე; 12. ქაღალდის ფული; 13. ესპანური წესით დამზადებული ღორის შაშხი; 17. ილია ჭავჭავაძის მიერ დაფუძნებული გაზეთი; 18. იტალიის საინფორმაციო სააგენტო; 19. სპორტის ოლიმპიური სათამაშო სახეობა; 20. კორიდის ცხენოსანი მონაწილე.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*